# საარბიტრო

სპორტული გაზეთი სამშაბათი 17 აპრილი 2007 №84 (3007) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# აღმასკომმა დაათქვა: ყრილობა 13 მაისს!




გაგი კოთოლაის ფოტო



# კიკერი ზღაპარია!

## ტოპმიოლერმა მოგონილი ტოპმიოლერი უარყო

საქართველოს ნაკრების თავკაც კლაუს ტოპმიოლერს გერმანული „კაიზერსლაუტერნი" ეპატიჟებაო, გამცნეთ გუშინ. ეს ცნობა პოპულარულ „კიკერში" დაიბეჭდა და განსაკუთრებული აქტუალობა იმიტომაც შეიძინა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სერიოზულად ფიქრობს ტოპისთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე. ჰერ კლაუსს გუშინ გერმანიაში შევეხმიანეთ და ამ საკითხზე ვთხოვეთ კომენტარი...

— რამდენად სერიოზულია „კაიზერსლაუტერნის" წინადადება?

— ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა, ისაა, რომ მე „კიკ-ერთან" არ მისაუბრია და არანაირი კომენტარი არ გამიკეთ-ებია. ასე რომ, რაც ამ გაზეთმა დაბეჭდა, მოგონილია და მეტი არაფერი.

— ანუ „კაიზერსლაუტერნის" თქვენით დაინტერესებას უარყოფთ?

— ჩემი პროფესიის ადამიანს ხშირად აქვს შემოთავაზებე-ბი და მომხიბვლელი წინადადებები სხვადასხვა გუნდებიდან, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე მოქმედი კონტრაქტი უნდა გავწყვიტო. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ხელშეკრულება მაქვს, რომლის დარღვევას ნამდვილად არ ვაპირებ.

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თქვენთან კო-ნტრაქტის გახანგრძლივებაზე ფიქრობს. რას იტყვით ასეთ წინადადებაზე?

— ეს მხოლოდ ჩემზე არ არის დამოკიდებული — ყველა-ფერზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად უნდა ვიმსჯელოთ. იმას კი გეტყვით, რომ მე და ჩემს გუნდს ძალი-ან მოგვწონს საქართველოს ნაკრებში საქმიანობა და დიდი სი-ამოვნებით ვიმუშავებდით კიდევ ორი წელი.

ნინო სილაგაძე

# კომენტარები ზედმეტია: თასია!

## ამერი — სიონი დღეს ზესტაფონი — ბათუმი




გაგი კოთოლაის ფოტო

საქართველოს თასის ფინალი 26 მაის-საა, იქამდე კი ოთხ გუნდს ორი ნაბიჯი აქვს დარჩენილი: ორი ნახევარფინალი, შინ და სტუმრად.

სათასო შერკინებებმა ხშირად იცის სი-ურპრიზები, ასე რომ, ნურავინ დაიჩემებს, მაინცდამაინც შარშანდელი ფინალი, „ამე-რი" — „ზესტაფონი" განმეორდებაო.

„ამერი" იმ „სიონს" მასპინძლობს, რომე-ლიც შარშან სწორედ ნახევარფინალში გა-აგდო, სულ რამდენიმე დღის წინ კი გლ-დანში ჩემპიონატის მატჩი 1:0 მოუგო. კახა ცხადაძის „სიონს" თასის იქით გზა აღარ დარჩენია, მხოლოდ ასე თუ გაალწევს ევრ-ოტურნირებზე.

ზესტაფონში კი ამირან გოგიტიძის „ბა-თუმი" ჩავა და სულაც არაა იმ ჭკუაზე, ორი კვირის წინანდელივით 0:4 წააგოს. ფეროლელები წყვილის ფავორიტები არიან, ზღვისპირელებმა კი წლეულს რამდენჯე-რმე დაამტკიცეს, რომ ძლიერების გამწა-რება შეუძლიათ და, მოდით, ვნახოთ...




[illegible] ფოტო

# ნოდარ ახალკაცის არჩევანი არჩევნებამდე: მხოლოდ გამარჯვება!

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა 13 მაისს გაიმართება — ეს ამბავი ფედერაციის გუშინდელ აღმასკომის სხდომაზე გადაწყდა, რომელსაც სტუმრების სტატუსით კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი გიორგი გაბაშვილი და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაურიც ესწრებოდნენ.**
**აღმასკომის სხდომა პირველ საათზე დაიწყო და ვინაიდან დღის წესრიგში მხოლოდ ყრილობის თარიღის დადგენა იყო, ნახევარ საათშივე დამთავრდა. აღმასკომის წევრებმა ფედერაციის ხელმძღვანელობის წინადადება უპრობლემოდ მიიღეს**



— ფედერაციის მე-12 საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა ქართული ფეხბურთისთვის მნიშვნელოვან დღეს, 13 მაისს ჩატარდება და 11 საათზე დაიწყება, შეკრების ადგილს კი მოგვიანებით გამოვაცხადებთ — თქვა სხდომის დამთავრების შემდეგ ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა — აღმასკომს წარვუდგინეთ ყრილობის ჩატარების პროექტიც, რომელიც ფიფა-უეფას წესდებებთან სრულ შესაბამისობაშია. აღმასკომმა ეს პროექტი დაამტკიცა.

— ფედერაციის პრეზიდენტობის მსურველებმა თავიანთი კანდიდატურები 4 მაისამდე უნდა წამოაყენონ. პრეზიდენტობის კანდიდატები ფედერაციის ერთმა ან რამდენიმე სუბიექტმა უნდა წარადგინონ.

— საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას ვაპირებ და, ცხადია, არჩევნებში მხოლოდ გამარჯვება დამაკმაყოფილებს. ჯერჯერობით კი, საკუთარი კანდიდატურა ოფიციალურად არც თავად წამომიყენებია და ეს არც სხვებს გაუკეთებიათ.

— არჩევნებში ყველა კონკურენტს სერიოზულად აღვიქვამ და შესაბამის წინასაარჩევნო კამპანიასაც გავმართავ, ისევე, როგორც წინა არჩევნებისას, შემოვივლი მთელ საქართველოს.

— ჩემი პრეზიდენტობის ამ ორ წელიწადში სამოქმედო პროგრამა მეტნაკლებად უკვე გამოიკვეთა. ახალ პროგრამაში კი, ცხადია, გარკვეული ცვლილებები იქნება. ჩემთვის პრიორიტეტული არის მთლიანად ქართული ფეხბურთის განვითარება. მაგალითად, როცა ბავშვთა ფეხბურთზე ვსაუბრობთ, იქ არც ინფრასტრუქტურა და განვითარებისთვის საჭირო სხვა მიმართულებებიც არ უნდა დავივიწყოთ. ეს კომპლექსური საკითხია და პრიორიტეტებზე საუბარს არ ვაპირებ.

**ჰოზა ინასარიძე**

სფფ-ის აღმასრულებელმა კომიტეტმა მოისმინა და განიხილა სფფ-ის პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცის ინფორმაცია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მეთორმეტე საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის ჩატარების შესახებ და დაადგინა:

1. სფფ-ის მეთორმეტე საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა ჩატარდეს 2007 წლის 13 მაისს თბილისში (ყრილობის დასაწყისი 11 საათზე) შემდეგი დღის წესრიგით:

01. ყრილობის შემადგენლობის დამტკიცება
02. სფფ-ის ყრილობის ოქმის დამტკიცება
03. სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის საქმიანობის ანგარიშის დამტკიცება
04. 2006 წლის ფინანსური ანგარიშის დამტკიცება
05. აუდიტის დასკვნის დამტკიცება
06. სფფ-ის დამოუკიდებელი აუდიტის შერჩევა და დანიშვნა
07. 2007 წლის ბიუჯეტის დამტკიცება
08. სფფ-ის წესდებასა და დებულებებში ცვლილებების შეტანის წინადადებების განხილვა
09. სფფ-ის პრეზიდენტის არჩევნები
10. სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნები

2. სფფ-ის მოქმედი წესდების 21/1 მუხლის შესაბამისად, სფფ-ის წევრები ასახელებენ ყრილობის ოფიციალურ დელეგატებს, რომლებსაც ენიჭებათ მათი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებანი. დელეგატები უნდა იყვნენ დამტკიცებული სფფ-ის წევრების უფლებამოსილი ორგანოების მიერ.

3. სფფ-ის წესდების 22/1 მუხლის შესაბამისად, თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა და მისი წარმოდგენა უნდა მოხდეს თავისი დელეგატის მიერ. მხოლოდ წარმოდგენილ დელეგატებს აქვთ ხმის მიცემის უფლება. სფფ-ში ყრილობის დელეგატების წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2007 წლის 5 მაისამდე.

4. სფფ-ის წესდების მე-5 მუხლის შესაბამისად, ყრილობის დელეგატთა მთლიანი რაოდენობა განსაზღვრულია 71 დელეგატით, მათ შორის 33 ხმის უფლებით:

აჭარის ფეხბურთის ფედერაცი: 3 დელეგატი, 1 ხმა
აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია: 3 დელეგატი, 1 ხმა
თბილისის ფეხბურთის ფედერაცია: 3 დელეგატი, 1 ხმა
იმერეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია: 3 დელეგატი, 1 ხმა
გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია: 3 დელეგატი, 1 ხმა
კახეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია: 3 დელეგატი, 1 ხმა
სამეგრელო-ზემო სვანეთის ფეხბურთის ფედერაცია: 3 დელეგატი, 1 ხმა
მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია: 3 დელეგატი, 1 ხმა
ქვემო ქართლის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია: 3 დელეგატი, 1 ხმა
შიდა ქართლის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია: 3 დელეგატი, 1 ხმა
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია: 3 დელეგატი, 1 ხმა
სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია: 3 დელეგატი, 1 ხმა
საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი: 3 დელეგატი, 1 ხმა
საქართველოს ფუტსალის ასოციაცია: 3 დელეგატი, 1 ხმა
საქართველოს ქალთა ფეხბურთის ფედერაცია: 3 დელეგატი, 1 ხმა
საქართველოს ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირი: 3 დელეგატი, 1 ხმა
საქართველოს მსაჯთა და ინსპექტორთა ასოციაცია: 3 დელეგატი, 1 ხმა
საქართველოს ეზოს ფეხბურთის ასოციაცია: 3 დელეგატი, 1 ხმა
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა (წარმოადგენს პირველი დივიზიონის საფეხბურთო კლუბების ინტერესებს): 3 დელეგატი, 1 ხმა
„ამერი" (თბილისი): 1 დელეგატი, 1 ხმა
„ბორჯომი" (ბორჯომი): 1 დელეგატი, 1 ხმა
„დილა" (გორი): 1 დელეგატი, 1 ხმა
„დინამო" (ბათუმი): 1 დელეგატი, 1 ხმა
„დინამო" (თბილისი): 1 დელეგატი, 1 ხმა
„ვიტ ჯორჯია" (თბილისი): 1 დელეგატი, 1 ხმა
„ზესტაფონი" (ზესტაფონი): 1 დელეგატი, 1 ხმა
„კახეთი" (თელავი): 1 დელეგატი, 1 ხმა
„ლოკომოტივი" (თბილისი): 1 დელეგატი, 1 ხმა
„მერანი" (თბილისი): 1 დელეგატი, 1 ხმა
„ოლიმპი" (რუსთავი): 1 დელეგატი, 1 ხმა
„სიონი" (ბოლნისი): 1 დელეგატი, 1 ხმა
„ტორპედო" (ქუთაისი): 1 დელეგატი, 1 ხმა
„ჩიხურა" (საჩხერე): 1 დელეგატი, 1 ხმა

5. სფფ-ის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის მოწვევის შეტყობინება სფფ-ის წევრებს გაეგზავნოთ 2007 წლის 18 აპრილამდე.

6. სფფ-ის წესდების 24/2 მუხლის შესაბამისად, დღის წესრიგი და საარჩევნო ყრილობის სხვა დოკუმენტები სფფ-ის წევრებს გაეგზავნოთ ყრილობის ჩატარების შესახებ შეტყობინებასთან ერთად.

7. სფფ-ის წესდების 24/2 მუხლის შესაბამისად, ყრილობის დღის წესრიგს ადგენს სფფ-ის გენერალური სამდივნო და ამტკიცებს აღმასრულებელი კომიტეტი.

8. სფფ-ის წესდების 28/1 მუხლის შესაბამისად, ყრილობას თავმჯდომარეობს სფფ-ის პრეზიდენტი. მისი არყოფნის ან დასწრების შეუძლებლობის შემთხვევაში თანამდებობრივი რიგითობით ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი.

9. სფფ-ის წესდების 28/2 მუხლის თანახმად, ყრილობის თავმჯდომარე წარმართავს ყრილობის საქმეებს რეგლამენტის შესაბამისად.

10. სფფ-ის წესდების 28/4 მუხლის შესაბამისად, ყრილობის ოქმი დგება სფფ-ის გენერალური სამდივნოს მიერ, რომელმაც იგი უნდა გაუგზავნოს სფფ-ის წევრებს ყრილობის დახურვიდან 15 დღის ვადაში.

11. სფფ-ის პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდეს სფფ-ის წესდების 29-ე მუხლის შესაბამისად.

12. სფფ-ის პრეზიდენტობაზე კანდიდატურის წარდგენა შეუძლია სფფ-ის ნებისმიერ წევრს 2007 წლის 4 მაისამდე.

13. პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის წერილთან (განცხადებასთან) ერთად სფფ-ის სამდივნოში შეტანილ უნდა იქნეს პრეზიდენტობის კანდიდატების თავისუფალი ფორმით დაწერილი მოკლე ავტობიოგრაფია და კანდიდატის თანხმობა.

14. სფფ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი უნდა ცხოვრობდეს საქართველოში და იყოს ამ ქვეყნის მოქალაქე.

15. ყრილობის დაწყებამდე არაუგვიანეს 5 დღისა სფფ-ის პრეზიდენტობის კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ სფფ-ში ქართული ფეხბურთის განვითარების მოკლე პროგრამა (თეზისი).

16. ეთხოვოს ფიფა-უეფა-ს მოავლინოს თავისი სრულუფლებიანი წარმომადგენლები ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

17. ყრილობის ჩატარების მოსამზადებლად სამუშაოების შესახებ რეგულარულად მიეწოდოს მასალები ფიფა-უეფა-ს.

18. კონტროლი აღნიშნული დადგენილების შესრულებაზე დაევალოს სფფ-ის გენერალურ მდივან უჩა უგულავას.

*ნოდარ ახალკაცი*
*სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე*

# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
## ნახევარფინალი

www.pfl.ge

# ძალიან დაძაბული!
## ეს ორი სიტყვა ორივე მხრიდან

თბილისი. 17 აპრილი. 16.10 საათი. ამერი (ტევადობა 900)

### ამერი — სიონი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი, მ. ურუშაძე; ვ. ელისაბედაშვილი

დღეს გლდანში სერიოზული მატჩია, საქართველოს თასის ნახევარფინალის პირველი შეხვედრა. „ამერი" ძველ მეტოქე „სიონს" მასპინძლობს. ძველსო, ვთქვით, რადგანაც ეს გუნდები თასის წინა გათამაშების ნახევარფინალშიც გადაეყარნენ ერთმანეთს. მაშინ მოგებული „ამერი" დარჩა და მოგვიანებით თასიც მოიპოვა, იმ სეზონში კი „სიონი" ჩემპიონი გახდა.

მეტოქეებს მწვრთნელები არ შეცვლიათ და გიორგი ჩიხრაძე და კახა ცხადაძე დღესაც ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. ხოლო იქამდე, როგორც შარშან ამ დროს, „მიხეილ მესხის" საკონფერენციო დარბაზში ჟურნალისტებს შეგვხვდნენ და მომავალ მატჩზე გვესაუბრნენ...


ბადრი კეთილაძის ფოტო

*კახა ცხადაძე, „სიონის" მწვრთნელი:* „სიონს" ევროსაგზურის მოსაპოვებლად ერთი შანსი დარჩა — თასი. ამიტომაც „ამერთან" მატჩები ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. გუნდი უკვე შეკრებაზეა და სერიოზულად ვემზადებით. ძალიან მძიმე და დაძაბული შეხვედრის მოლოდინში ვართ, იმედი მაქვს, ჩვენი თამაშით ქომაგები ისიამოვნებენ.

— სამწუხაროდ, ჩემპიონატის ბოლო მატჩის შემდეგ სამი ფეხბურთელი დაგვაკლდა. ევოჩე, უგრეხელიძე და კვიტაიშვილი ტრავმირებულები არიან და „ამერთან" პირველ შეხვედრაში ვერ დაგვეხმარებიან. სხვა ფეხბურთელებს არაფერი აწუხებთ, ყველას გათავისებული აქვს ნახევარფინალის მნიშვნელობა.

— ცუდია ის, რომ ასეთი მატჩის წინ ნორმალური სავარჯიშო მოედანი არ გვაქვს. გვსურდა, თენგიზ სულაქველიძის საფეხბურთო აკადემიის მინდორზე გვევარჯიშა, მაგრამ ისეთი ამინდებია, უხერხულია, კაცი შეაწუხო და მოედანი სთხოვო.



— სათასო მატჩებს სხვა სპეციფიკა აქვს, ორი შეხვედრაა და სხვანაირი გათვლებია საჭირო, ჩემპიონატში კი შეცდომების გასწორების მეტი შანსი გაქვს. „ამერი" წარმატებული და პროგრესირებადი გუნდია, მცოდნე მწვრთნელი ჰყავს და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა აქვს. „სიონი" კი გარკვეულ მიზეზთა გამო ჩემპიონატში არასტაბილურად თამაშობს, თუმცა, როგორც გითხარით, თასისთვის გაორმაგებული ენერგიით ვიბრძოლებთ. „ამერთან" მატჩებისთვის კი პრემია დაწესებული არ გვაქვს.

— მსაჯობაზე საერთოდ არ მსურს ლაპარაკი. იმედი მაქვს, ისინი ნახევარფინალს კვალიფიციურად იმსაჯებენ. როცა მეტნაკლებად თანაბარი ძალის გუნდები თამაშობენ, მსაჯის ერთი შეცდომაც კი შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს.

— ვიდრე საქართველოს ჩემპიონატში ერთწლიანი გუნდები იქნებიან, ჩემპიონატში პროგრესი არ იქნება, თუმც ისიცაა, რომ ლიდერთა ურთიერთშეხვედრები სხვა ქვეყნების ლიდერთა შეხვედრებს არაფრით ჩამოუვარდება, ჩვენთანაც არის დაძაბული და ძალიან საინტერესო თამაშები.


ბადრი კეთილაძის ფოტო

*გიორგი ჩიხრაძე, „ამერის" მწვრთნელი:* მოკლე პერიოდში „სიონთან" მეორე მატჩი გვიწევს, თუმცა ახლა ორრაუნდიანი ბრძოლაა, რომელსაც შემართულები უნდა შევხვდეთ. მნიშვნელოვანია, თუ როგორ შეძლებენ ფეხბურთელები ძალების აღდგენას.

„სიონსა" და „ამერს" თასზე ერთმანეთთან აქამდეც უთამაშიათ და ყველა შეხვედრა ერთობ დაძაბული იყო, ასე იქნება ახლაც.

— „სიონთან" პირველ მატჩში „ამერს" მხოლოდ მიხეილ მესხი დააკლდება, სამაგიეროდ, ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა დენის დობროვოლსკიმ და ის სათამაშოდ ემზადება.

— „სიონი" და „ამერი" ერთმანეთს კარგად იცნობენ, ჩვენ დაახლოებით თანაბარი ძალის გუნდები ვართ, ამ დროს კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეტოქის შეცდომების გამოყენებას.

— კარგი მსაჯობის იმედად ვართ. მსაჯებს ალბათ ისეთი შეცდომები არ ექნებათ, რამაც შესაძლოა, საბოლოო შედეგზე იმოქმედოს.

— „სიონთან" წინა პარასკევის მატჩისგან განსხვავებით, „ამერში" ცვლილებები იქნება, თუმცა მნიშვნელოვანი არაფერი. ახლა თასის მატჩებია და ჩვენი სტრატეგიაც შეიცვლება. ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რათა თასი შევინარჩუნოთ და ჩემპიონატშიც წარმატებას მივაღწიოთ.

— „ამერს" პრემიები ყოველი სათასო ეტაპის დაძლევის შემდეგ აქვს ხოლმე და ასე იქნება ამჯერადაც.

*დღევანდელი „ამერი" — „სიონის" პირველი ნახევარფინალი გლდანში 16.10 საათზე დაიწყება და საზოგადოებრივი მაუწყებლი პირდაპირ ეთერში აჩვენებს. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდებს აქამდე საქართველოს თასზე ერთმანეთში ოთხჯერ უთამაშიათ, სამჯერ „ამერს" მოუგია, ერთი მატჩიც ფრედ დამთავრდა.*

**ძოგა ინასარიძე**

# ზესტაფონის საშინაო შანსი ბათუმის შანსიცაა

ზესტაფონი. 17 აპრილი. 16 საათი. ცენტრალური (ტევადობა 10 000)

### ზესტაფონი — ბათუმი

მსაჯები: ლ. სილაგავა; ლ. მიქელაძე, ზ. ჯვარიძე; ა. ნონიკაშვილი

ამ წყვილში ფავორიტად იმერული გუნდი ჩანს, თუმცა თასმა ხომ ფავორიტები არ იცის. თანაც „ბათუმი" ზამთრის მერე საკმაოდ მოღონიერდა და მეორე წრეში გაცილებით უკეთ ათამაშდა. ზღვისპირელებმა ძლიერ მეტოქეებს ჯეროვანი წინააღმდეგობა გაუწიეს და სავსებით შესაძლოა, ხვალინდელ მატჩშიც ასე იყოს.

„ზესტაფონი" კი თასის მოგების იმედზეა: ფეროლელებმა ჩემპიონატში მოულოდნელი ქულები დაკარგეს და პირველობის შანსი მნიშვნელოვნად შეიმცირეს — ევროპისკენ სავალი გზა კი თასის გათამაშებიდან უკეთ ჩანს.

სათასო დაპირისპირებაში ზესტაფონელები და ბათუმელები ექვსჯერ შეხვდრიან. სტატისტიკა აჭარელთა მხარესაა — 4 მოგება, 1 ფრე, 1 წაგება. ისიც სათქმელია, რომ „ბათუმმა" ოთხივე მატჩი სწორედ ნახევარფინალში მოუგო ზესტაფონელთა მაშინდელ კლუბ „მარგვეთს". 2004-05 წლების გათამაშებაში კი იმერლებმა მეოთხედფინალში შინ 1:0 მოუგეს „ბათუმს", სტუმრად კი უგოლო ფრე ითამაშეს და ნახევარფინალში გავიდნენ.

ზედიზედ მესამე წელია, „ზესტაფონი" მუდმივად ნახევარფინალშია და წინა ორ ჯახში ფინალშიც გავიდა, ახლა იმერლები გასამებას შეეცდებიან.

რაც შეეხება „ბათუმს", ის ნახევარფინალში მეცხრედაა, ხუთჯერ ფინალშიც გააღწია, სადაც ერთადერთხელ იმარჯვა.

დღევანდელ მატჩში „ზესტაფონი" დანაკლისის გარეშე დაუხვდება მეტოქეს, „ბათუმი" კი ლერი ხოხონიშვილს, ირაკლი ცანავასა და გიორგი თურმანიძის გარეშე ჩავა იმერეთში.

*კახა ჩხეტიანი, „ზესტაფონის" კაპიტანი:* „ბათუმი" კარგი, ახალგაზრდული გუნდია. მეორე წრეში გამოჩნდა, რომ თამაში შეუძლიათ. მართალია, ჩემპიონატის მატჩი 4:0 მოვუგეთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თასზეც იოლი მატჩი გვექნება. დარწმუნებული ვარ, ბოლომდე იბრძოლებენ. რა თქმა უნდა, გულხელდაკრეფილი არც ჩვენ ვიქნებით.

*გია ნერგაძე, „ბათუმის" ნახევარმცველი:* „ზესტაფონის" ყველა ფეხბურთელი ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე საკმაო ძალას წარმოადგენს. უეჭველია, ძალიან რთული მატჩები გველის. ჩემპიონატის ბოლო ორ ტურში კი წავაგეთ, მაგრამ ამ შეხვედრებისთვის საგანგებოდ ვემზადებით. უშანსოდ ნამდვილად არ ვართ. „ზესტაფონი" ეცდება, შინ გადაწყვიტოს ყველაფერი, ამიტომ გახსნილ ფეხბურთს ითამაშებს და ჩვენც ამ დროს უნდა ვიპოვოთ მათი სუსტი წერტილები.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**


ბადრი კეთილაძის ფოტო

გია ნერგაძე


მურამ დოლენჯაშვილის ფოტო

კახა ჩხეტიანი

# რა ჩემი საქმეა როლი, ჩემი საქმეა გოლი

გიორგი ჭელიძემ თავისი პირველი უკრაინული გოლი მსაჯის მიერ მეხუთე ნამატებული წუთზე გაიტანა და თავისიანებს მოაგებინა. ეს ამბავი ლუგანსკის „ზარიასა" და კრივოი როგის „კრივბასის" მატჩში მოხდა. ლუგანსკელთა მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ კოსევიჩმა ჭელიძე მოედანზე მე-80 წუთზე შეუშვა და ალღომ არ უმტყუნა, ჩვენებურმა „ზარიას" ძალიან საჭირო სამი ქულა მოუტანა...



— ჩვენთვის ამ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, გუნდი ბოლო ადგილზე იყო და, თუ წავაგებდით, უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსი პრაქტიკულად აღარ გვრჩებოდა. ჯერ ვაგებდით, მაგრამ მერე თამაში წაგვივიდა და საბოლოოდ მოვიგეთ კიდეც.

— უკრაინული მედიის ცნობით, ლამაზი გოლი გაგიტანია...

— საჯარიმოს გარედან დავარტყი, გადმოვარდნილი ბურთი მიწაზე არ დამიშვია და მართლაც, კარგი გოლი გამოვიდა.

— კოსევიჩი რამდენიმე თვის წინ „კრივბასს" წვრთნიდა, ალბათ მეტოქის პლუს-მინუსები კარგად აგიხსნათ...

— მწვრთნელის დავალება საჩკო-გიგიაძის გაუვნებლება იყო, თუმც საჩკომ მაინც გაგვიტანა. ბუნებრივია, კოსევიჩს ძალიან სურდა ამ მატჩის მოგება — „კრივბასთან" თავისი ჰქონდა დასამტკიცებელი.

— სრულად იშვიათად თამაშობ...

— ტრავმის გამო დიდი ხნის უთამაშებელი ვიყავი და 90 წუთისთვის ჯერ მზად არ ვარ, თუმცა თანდათან ყველაფერი დალაგდება.

— ტრავმა თავს ხომ არ გახსენებს?

— არა, ბოლომდე გამოვჯანმრთელდი, ესაა, ცოტა მეტი სათამაშო პრაქტიკა მჭირდება.

— „ლოკომოტივი" გაცილებით ამბიციური გუნდია, ვიდრე „ზარია" — რა იყო მოსკოვური გუნდიდან წამოსვლის მიზეზი?

— „ლოკომოტივში" მუდმივად დუბლებში მიწევდა თამაში, ეს კი ხელს აღარ მაძლევდა, „ლოკოს" დუბლებში ხომ სამი წლის წინაც ვთამაშობდი. იქ გაჩერებას აზრი არ ჰქონდა. ერთი ხანობა საქართველოში ჩამოსვლა და რომელიმე კლუბში თამაში გადავწყვიტე, მაგრამ ბოლო მომენტში „ზარიას" ვარიანტი გამოჩნდა და უარი აღარ მითქვამს. თანაც უკრაინის ჩემპიონატი მაღალი დონისაა, თუ ხშირად ვითამაშებ, უკეთეს კლუბში გადასვლის შანსიც შეიძლება გამოჩნდეს.

— მოსკოვში პოპულარული გახდი, ფილმშიც გადაგიღეს...

— ჩემი საქმე ფეხბურთია, კინოში თამაშს მოედანზე ყოფნა და გოლების გატანა მირჩევნია. რაც მეტს გავიტან, მით უფრო პოპულარული გავხდები.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# კვარაცხელიას ნამსაჯი საუკეთესოდ გამოცხადდა



**7-11 აპრილს** საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა პორტუგალიაში კასტელო ბრანკოს საერთაშორისო ტურნირში მეორე ადგილი დაიკავა, თუმც ქართველები პირინეის ნახევარკუნძულიდან მთავარი პრიზის გარეშე არ წამოსულან.

ეროვნული კატეგორიის არბიტრმა ლევან კვარაცხელიამ პორტუგალიურ ტურნირზე ორი მატჩი იმსაჯა და, საორგანიზაციო კომიტეტის აზრით, საუკეთესო იყო.

**ლუკა თალაკვაძე**

# მოდებაძის ძირითადს დრო სჭირდება

დავით კვირკველიასა და ირაკლი მოდებაძის ზაპოროჟიეს „მეტალურგს" მწვრთნელი შეუცვალეს — სერგეი იაშჩენკოს ნაცვლად გუნდს ანატოლი ჩანცევი უთავკაცებს. „მეტალურგი" უკრაინის ჩემპიონატში მეთერთმეტე ადგილზეა, არადა, ქართველთა კლუბი სეზონის წინ ევროტურნირებზე მოსახვედრ ადგილს უმიზნებდა.

და ერთიც: მუხლის ტრავმის შემდეგ მოდებაძე ოდენ შეცვლებზე თამაშობს, თუმც როგორც უკრაინული პრესა წერს, მისი ძირითადში დაბრუნება დროის ამბავია — ასეთი ტრავმის ბოლომდე მოშუშება უცებ არ ხდება.

**ლუკა თალაკვაძე**

# ჯეკპოტური მეოცე იყო ერთმა მოარტყა

**ჯეკპოტი** მოხსნილია! პროფლიგის მიერ დაწესებული პრიზი, 7000 ლარი ერთმა ქომაგმა მოიგო. პროფლიგის პრეს-ატაშემ პაატა ბურჯალიანმა გვითხრა, გამარჯვებულს მოგებული თანხა ხვალ პროფლიგის ოფისში გადაეცემა.

„ჩვენი მიზანი თქვენი მოგებაა" — ეს წარწერა ლატარიის სარეკლამო დაფაზეა გამოსახული და ჯერჯერობით მოგება ერთ იღბლიანს ერგო, რომელმაც მე-20 ტურის გათამაშებაში თერთმეტივე მატჩის შედეგი გამოიცნო.

# ბიძა-დისწულის ამბავი

## ლევან ყენია: ევროპა ჯერ ძალიან ძნელია





**16 წლის** ლევან ყენია რომ სეზონს თბილისის „ლოკომოტივში" ჩაამთავრებს, ამაზე ადრეც ვწერდით. კაცმა რომ თქვას, მანამდე ბევრიც არაფერი დარჩა, მაგრამ საკითხავია, როდის გადავა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების შემტევი ესპანურ „ლევანტეში".

ყენიას რომ დავუკავშირდით, ჯერ ტრავმაზე ვკითხეთ: „საშიში არაფერია. დღეს ვივარჯიშე „ლოკომოტივთან" ერთად და 21 აპრილს „დინამოსთან" ალბათ ვითამაშებ. ყოველ შემთხვევაში, ერთ ტაიმს მაინც გავქაჩავ.

...რაც შეეხება „ლევანტეში" წასვლის საკითხს, ისევ საბუთების პრობლემა მაქვს. 18 წლამდე ოფიციალურ კონტრაქტს ვერ მიფორმებენ და, შესაბამისად, თამაშის უფლებაც არ მექნება. მხოლოდ სავარჯიშოდ ჩასვლა თუ შემეძლება ხოლმე".

ლევანმა გვითხრა, გერმანული „შალკეცაა" ჩემით დაინტერესებული და ვნახოთ, თუ „შალკე" მოაგვარებს იმას, რომ მათთან 18 წლამდე შევძლო თამაში, მაშინ „ლევანტეს" ვარიანტი აღარ მჭირდებაო.

ყენიას ამბავზე ბიძამისს, „ლოკომოტივის" მთავარ მწვრთნელ გიორგი კიკნაძეს დავეკითხეთ. გიორგიმ გვითხრა, ლევანის უცხოეთში წაყვანას მაინცდამაინც არ ვჩქარობთ, არ გვინდა, აქეთ-იქით ჩასვლა-ჩამოსვლაში და გაურკვევლობაში იყოსო.

„კი, არის გამონაკლისები, როცა კლუბები 18 წლამდე არაევროკავშირელ ფეხბურთელთანაც აფორმებენ კონტრაქტს, მაგრამ ბოლო დროს ეს პროცესი გამკაცრდა და კლუბებიც მაქსიმალურად ერიდებიან ამას, რათა ფინანსური სანქციებით არ დაისაჯონ. ლევანს გერმანული კლუბების ვარიანტებიც აქვს და ამიტომაც არ ვჩქარობთ".

კიკნაძეს საკუთარ სამწვრთნელო მომავალზეც ვკითხეთ — დაახლოებით ერთი თვის წინ გვითხრა, შესაძლოა, ერთ-ერთი გერმანული კლუბი ჩავიბაროო.

„ამჟამად მთლიანად „ლოკომოტივზე" ვარ გადართული. სეზონი მთავრდება და ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ უმაღლეს ლიგაში დავრჩეთ. გერმანული ვარიანტი კი ძალაშია, თუმც კლუბს ჯერ ვერ დავასახელებ" — გვითხრა გიორგიმ.

**ილია ნანობაშვილი**


დაესწარი უმაღლესი ლიგის თამაშებს

გამოიცანი თერთმეტი თამაში

მიიღე მონაწილეობა წამახალისებელ ლატარიაში

ჯეკპოტი გახდა 7000 ლარი!!!

ჩვენი მიზანი თქვენი მოგებაა!

ბილეთის ფასი 2 ლარი



აქსისი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საინფორმაციო მხარდაჭერა

ოლიმპი

სარბიელი


13 აპრილი, მე-20 ტური

| | |
|---|---|
| ბორჯომი — ტორპედო 1 | ვიტ ჯორჯია — ოლიმპი X |
| ამერი — სიონი 1 | მაინცი — შალკე 2 |
| დილა — კახეთი 1 | მესინა — მილანი 2 |
| დინამო — ზესტაფონი X | ალკმაარი — ვიტესი 1 |
| ბათუმი — ლოკომოტივი 2 | დნიპრო — ხარკოვი 1 |
| ჩიხურა — მერანი 1 | |

# რუსული აჯაფსანდალი გერმანული საკმაზით





## მაურინიუზე გამწყრალი აბრამოვიჩი თვითმფრინავში კლინსმანს გადაეყარა

**ლონდონის** „ჩელსის“ დახლართულ სატრანსფერო საქმეთა გამო „დანასისხლად“ გადაკიდებულ რომან აბრამოვიჩს და ჟოზე მაურინიუს იანვრის შემდეგ ერთმანეთისთვის წესიერად გამარჯობაც კი არ უთქვამთ. კვირას კი მოულოდნელად ყინული დაიძრა — ასოციაციის თასის ნახევარფინალში „ბლექბერნთან“ გამარჯვების მერე კლუბის პატრონი პორტუგალიელთან მივიდა, გადაეხვია და რთულ მატჩში გამარჯვება მიულოცა.

„ამაში მე უცნაურს და განსაცვიფრებელს ვერაფერს ვხედავ. ჩვენ ერთმანეთს გადავეხვიეთ და გამარჯვება მივულოცეთ“ — აღნიშნა „მაუმ“.

თითქოს „ჩელსიში“ დათბა, თუმცა...

ახალ სეზონში ეს გუნდი, შესაძლოა, იურგენ კლინსმანმა გაწვრთნას. ბრიტანული „სანის“ ინფორმაციით, აბრამოვიჩი მაურინიუს ზაფხულში დაითხოვს და „სტემფორდ ბრიჯზე“ სახელგანთქმული გერმანელის გადაყვანას ეცდება.

მაურინიუს გადაბირებით მადრიდის „რეალია“ დაინტერესებული. ჟოზემ ერთი კვირის წინ მედიასთან საუბარში კი თქვა, „ჩელსიში“ დარჩენას ვაპირებო, თუმცა რომან არკადიევიჩთან მის დამოკიდებულებას („საკვირაო სასწაულის“ გამოკლებით) თუ გავითვალისწინებთ, პორტუგალიელის ლონდონში დარჩენის შანსი იოტისხელაა.

„მაუმ“ „ჩელსის“ ორჯერ ინგლისის ჩემპიონობა მოაგებინა და კლუბის ისტორიაში პირველად გაიყვანა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში. მიუხედავად ამისა, „სანი“ ამტკიცებს, რომ აბრამოვიჩს ერთი სული აქვს, პორტუგალიელი დაითხოვოს და მის შემცვლელად აგერ უკვე კლინსმანი შეუგულებია.

„ჩელსის“ პატრონს შესაძლო სამწვრთნელო ცვლილებებზე ჯერ არაფერი უთქვამს, თუმცა მისმა წარმომადგენლებმა კლინსისთან მოლაპარაკებები უკვე დაიწყეს — რუსის აგენტებმა გერმანელი კალიფორნიისკენ მქროლავ თვითმფრინავში გამოიჭირეს და აბრამოვიჩის სატრანსფერო ზრახვანი შეატყობინეს.

კლინსმანის პასუხი ჯერ უცნობია...

კლინსიმ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე თავისი ქვეყნის ნაკრებს მესამე ადგილი მოაპოვებინა, თუმცა მუნდიალის დამთავრებისთანავე „ნაციონალმანშაფტის“ მწვრთნელობაზე უარი განაცხადა.

„სანი“ წერს, რომ, თუ იურგენს სამწვრთნელო კარიერის გაგრძელება რომელიმე კლუბში ან ნაკრებში სურს, გერმანიის საფეხბურთო კავშირთან ნებისმიერი სახის თანამშრომლობა ოფიციალურად უნდა შეწყვიტოს.

ახლა კლინსმანი ამერიკაში ცხოვრობს. შეთავაზებები არ აკლია და ცოტა ხნის წინ აშშ-ის და მექსიკის ნაკრებების მწვრთნელობა იუარა.

მოკლედ, მაგარი აჯაფსანდალია...

**ლადო ხომერიძე**

## უცხოპლანეტელი ბურთით

**„მანჩესტერის“** სამი ფეხბურთელი ექვსკაციან კანდიდატთა სიაში, რომლიდანაც ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაცია 22 აპრილს საუკეთესოს დაასახელებს. კრიშტიანუ რონალდუს, რაიან გიგზის და პოლ სქოულზის გარდა ექვსეულში არიან სტივენ ჯერარდი (შარშანდელი გამარჯვებული), დიდიე დროგბა და სესკ ფაბრეგასი.

რა თქმა უნდა, ფავორიტია 21 გოლის გამტანი კრიშტიანუ რონალდუ, რომელსაც ასოციაციის შეფმა გორდონ ტეილორმა ფანტასტიკური თამაშის გამო უცხოპლანეტელი უწოდა.

19 წლის ფაბრეგასი და 22 წლის რონალდუ წარდგენილნი არიან „საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელის“ ნომინაციაზეც.

## კაჭკაჭი თოფში გაიცვლება?

**„ნიუკასლის“** ნახევარმცველი სკოტ პარკერი, შესაძლოა, „არსენალს“ ბრაზილიელ ჟილბერტო სილვაში გაუცვალონ. „ჩელსის“ ყოფილი ფეხბურთელი პარკერი „კაჭკაჭების“ ქომაგებმა რატომღაც აითვალწუნეს და სხვაგან გადასვლა უნდა. ჟილბერტო სილვას კი „მეთოფეებმა“ მხოლოდ ერთი წლით შესთავაზეს კონტრაქტის გახანგრძლივება, რაც ნახევარმცველს არ ეამა, ხოლო „ნიუკასლი“ ბრაზილიელს სამწლიან ხელშეკრულებას უმზადებს.

თუ გაცვლა არ შედგა, გამორიცხული არაა, „არსენალმა“ პარკერში 8 მილიონი გირვანქა გაიმეტოს.

## ვუდგეიტი გაიყიდა

**„სანდი მეილის“** ცნობით, „მიდლსბრო“ და მადრიდის „რეალი“ ჯონათან ვუდგეიტის ტრანსფერზე მორიგდნენ. ინგლისელი მცველი მადრიდული კლუბიდან „ბორომ“ შარშან ზაფხულს იჯარით წაიყვანა. პრემიერლიგელები კონტრაქტის გამოსყიდვას ცდილობდნენ და ახლა საბოლოოდ შეთანხმდნენ ფასზე — „მიდლსბრო“ „რეალს“ დაახლოებით 8 მილიონ გირვანქას გადაუხდის.

## მამა, იყიდე ბილეთი!

**პიტერ კრაუჩის** მამა „ჩელსის“ ქომაგია და სეზონურ აბონემენტსაც ფლობს, მაგრამ შვილმა უთხრა, „ლივერპულთან“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალურ მატჩებზე აბონემენტით არ ისარგებლოო: კრაუჩს უნდა, მამამისი ამ თამაშებზე მივიდეს, როგორც „ლივერპულის“ ფანი.

## ლუღაში გორდონი გამოჩნდა

**ლონდონის** „არსენალს“ ედინბურგის „ჰართსიდან“ მეკარე კრეიგ გორდონის ყიდვა სურს. „მეთოფეები“ შოტლანდიის ნაკრების გოლკიპერში 4 მილიონ 500 ათას გირვანქას იხდიან. „არსენალი“ იენს ლემანის შემცვლელს ეძებს, რომელიც წასვლას აპირებს, თუ კონტრაქტს ორი წლით არ გაუხანგრძლივებენ.

გორდონით დაინტერესებულნი არიან „მანჩესტერი“, „მიდლსბრო“, „ფულემი“ და „ბაიერნი“.

**მამა ხუციშვილი**

# ვაი შენს ვიკას...



მოდელი სარა მარბეკი



პირადი ასისტენტი რებეკა ლოსი



პოპვარსკვლავი ჯესიკა სიმპსონი

## ჯესიკა სიმპსონმა დევიდ ბექემს ანგელოზები დაუფრთხო

**შოუბიზნესის** ვარსკვლავი ჯესიკა სიმპსონი, ცნობილი თავისი მარტივი სიმღერებითა და რეალით-შოუ „ახალშეუღლებულებში“ მონაწილეობით, ვიქტორია ბექემს ქმართან მიწებებას ურჩევს.

ახლავე აგიხსნით, რა ხდება: ბოლო დროს ისევ დაირხა ხმები, თითქოს „პოშის“ მეუღლე დევიდ ბექემი ნაირ-ნაირ ლამაზმანებთან ცუღლუტობით არის გატაცებული. ასახელებენ ლამაზმანებსაც — ბექემების ყოფილ პირად ასისტენტ რებეკა ლოსს და ტოპმოდელ სარა მარბეკს.

მოკლედ, თემა — რას აკეთებს დევიდი, სანამ ვიქტორია სამ ვაჟს ზრდის — დედამიწასავით ბრუნავს.

„ვიქტორია ძალიან მეცოდება — ლამის ცრემლები დაღვარა ჯესიკამ — მე, ცხადია, წვრილმანები არ ვიცი, მაგრამ, ვფიქრობ, ვიქტორია ქმარს უნდა ჩაებღაუჭოს, მიეწებოს და არ მოშორდეს. ისე კი, იმედი მაქვს, რომ ისინი თავიანთ პრობლემებს მოაგვარებენ.“

ამის შემდეგ ჯესიკა სიმპსონმა „პოშის“ სტრატეგიულ შეცდომებზე გაამახვილა ყურადღება.

„ყოველთვის ვამბობდი, რომ ქალი სპორტსმენს არ უნდა გაჰყვეს ცოლად. სპორტსმენები სულ მოგზაურობენ, სხვადასხვა ქვეყნებსა და ქალაქებში დადიან და ყოველი თამაშის შემდეგ ლამაზმანებით არიან გარშემორტყმულნი. როგორ გინდა, ასეთ ცდუნებას გაუძლო?!“

**პაპუნა ძედია**

# მე არ ვარ ინტერის მტერი

**მიუნხენის „ბაიერნის" დამარცხებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, იტალიური „მილანის" პრეზიდენტ სილვიო ბერლუსკონის „გაძეტა დელო სპორტის" კორესპონდენტი ალბერტო ჩერუტი დაუკავშირდა და ინტერვიუ სთხოვა — დონ სილვიომ, მიუხედავად მოუცლელობისა, ჟურნალისტს უარი ვერ უთხრა და კაბინეტში მიიწვია.**

**2007 წლის 1 ივლისს ზუსტად 20 წელი შესრულდება, რაც ბერლუსკონი „შავ-წითელ" კლუბს პატრონობს და პრეზიდენტსაც იუბილეზე საჩუქრად, არც მეტი, არც ნაკლები, კლუბის ისტორიაში მეშვიდე ჩემპიონთა თასი სურს, თანაც ისე, რომ „მილანმა" ფინალში იმ „ლივერპულს" მოუგოს, ვისთანაც „როსონერიმ" ორი წლის წინ დრამატულად წააგო — სტამბოლურ კოშმარს მხოლოდ ასე თუ დავივიწყებო...**



— სინიორ ბერლუსკონი, გულწრფელად თქვით, ელოდით „მილანისგან" მიუნხენში ასეთ თამაშს?

— რა თქმა უნდა. საპასუხო მატჩამდე ადრიანო გალიანის და კარლო ანჩელოტის ბევრი ველაპარაკე. დავრწმუნდი, რომ გუნდში ვითარება ნორმალური იყო, მეტიც, იდეალურიც კი. სამივეს გვჯეროდა ჩვენი ფეხბურთელების, აქცენტი უფრო ბიჭების ოსტატობასა და ინდივიდუალიზმზე გავაკეთეთ და ამან გაამართლა, თითქოს წინასწარ ვიცოდი, როგორ ითამაშებდნენ ისინი. დიდი გუნდის წევრები არიან და მე თავდადება დამანახეს, რასაც „მილანის" ფეხბურთელებისგან მუდმივად ვითხოვ. მადლობა მათ!

— ფილიპო ინძაგიმ გვითხრა, რომ მატჩის დაწყებამდე ოცი წუთით ადრე დაგირეკავთ, სილვიო ბერლუსკონის ზარმა სტიმული მომცა და უფრო მეტად გამახელაო...

— უბრალოდ, მასთან დაკავშირებული სიტუაცია შევაფასე და საჭიროდ ჩავთვალე, დამერეკა, გამემხნევებინა. პიპოს ხომ ტრავმის გამო ბევრი გაუცდა, თანაც მასზე პირველი თამაშის შემდეგ ბევრს ლაპარაკობდნენ — „ბაიერნთან" აუცილებლად უნდა გაიტანოსო, „მილანი" მხოლოდ მის იმედზეაო და ასე შემდეგ. შემეშინდა, ფსიქოლოგიურად არ დათრგუნულიყო. სიტყვა-სიტყვით კი ეს ვუთხარი: პიპო, აბა, შენ იცი, შენ სწორედ ის კაცი ხარ, რომელიც ადამიანს არასდროს უღალატებს! და, მე ახლა ძალიან ბედნიერი ვარ — მან ძალიან საჭირო გოლი გაიტანა.

— გამეორებისას კი გამოჩნდა, რომ ინძაგი პასის მომენტში ოფსაიდში იდგა...

— ვერ დაგეთანხმებით. ნამატჩევს ის მომენტი ლამის ასჯერ მაინც დავატრიალე DVD-ზე და დავრწმუნდი — თამაშგარე არ იყო. ვიდრე ზეედორფი იდეალურ პასს მიაწვდიდა, პიპომ უკან ამოსვლა დაიწყო, ბურთი რომ მიუვიდა, კარისკენ მაშინ დაიძრა.

— და მაინც, პირველი თამაშიდან და განსაკუთრებით, შედეგიდან გამომდინარე, „მილანის" ასეთი გარდაქმნა რას უნდა მივაწეროთ?

## ვალში ჩაფლული ბერლუსკონი: მანჩესტერს უნდა ეშინოდეს ჩვენი!

— ახლა უკვე ადვილია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ თქვენ ხომ არ იცით, რა მოხდა მაშინ? არ მომერიდება ამაზე საუბარი და სათქმელსაც პირდაპირ ვიტყვი: „სან სიროს" 2:2-ის შემდეგ გასახდელში, ცხადია, უკმაყოფილო ჩავედი. მეტიც, გაცოფებული ვიყავი! როგორ შეიძლება, გყავდეს გუნდში არაერთი ვარსკვლავი და არ იცოდე, როგორ უნდა შეინარჩუნო ბოლო წუთებზე სასურველი ანგარიში?! ბურთის საჯარიმოდან ამოტანაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ჩემი გუნდისგან სპექტაკლს, ანუ ლამაზ თამაშს და დამაჯერებელ გამარჯვებას ყოველთვის ვითხოვ და მომავალშიც მოვითხოვ, მაგრამ, როცა ხედავ, რომ მხოლოდ მინიმალური სხვაობით იგებ და მატჩიც უკვე სადაცაა, დასრულდება, ყველანაირად უნდა ეცადო, მეტოქე შენს საჯარიმოს არ გააკარო, ბურთი სწორედ მაგ დროს უნდა დაუმალო. ჩვენ კი რა ვქენით? „მილანმა" სწორედ ბოლო წუთებზე დაკარგა კონცენტრაცია, მცველები აირივნენ და დიდამაც თავის კუთხეში, იღლიის ქვეშ გაუშვა ბურთი. ერთი სიტყვით, ჩვენ სწორედ ის დაგვემართა, რაც იტალიის ნაკრებს ევრო 2000-ის ფინალში საფრანგეთთან. მაშინაც წამები იყო დარჩენილი საფინალო სასტვენამდე „სკუადრა ატურაც" მაშინღა მოეშვა, მორჩა, ჩემპიონები ვართო, იფიქრეს, ალბათ. ამიტომ გავაკრიტიკე მაშინ ნაკრების მწვრთნელი დინო ძოფი. ახლა კი, ვფიქრობ, ჩემმა კრიტიკამ ანჩელოტიზე და „მილანზე" გაჭრა.

— მიუნხენური მატჩიდან ვის გამოარჩევდით?

— კონკრეტულად ვინმეს დასახელება გამიჭირდება: დაცვაში ნესტა-მალდინის დუეტმა საოცრად ითამაშა; როგორც ყოველთვის, ერთხელაც ვნახეთ გატუზოს მებრძოლი სული და უტეხი ხასიათი; დიდა, უბრალოდ, ბრწყინვალე იყო. მაგრამ, როგორ შეიძლება, კლარენს ზეედორფი არ ვახსენო?! მას ჩემი ეპითეტები არ სჭირდება, კლარენსმა კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა, თუ რომელი გუნდის ფეხბურთელია და რა არის საჭირო ამ გუნდის საკეთილდღეოდ. ზედიზედ მესამედ და ბოლო ხუთ წელში მეოთხედ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლა უდიდესი მიღწევაა, რომელიც ბოლო წლებში ვერც ერთმა [illegible] ვერ მოახერხა. მაგრამ ჩვენ ამაზე გაჩერება არ გვსურს, ფინალი გვინდა!

— 1989 წელი რომ განმეორდეს, მოაწერდით ხელს დაუფიქრებლად? მაშინ ხომ „ინტერმა" ჯერჯერობით მისთვის ბოლო სკუდეტო მოიგო, „მილანმა" კი ჩემპიონთა თასი...

— დაუფიქრებლად! ძალიან ბედნიერი ვიქნები — ჩემი ქალაქი გამარჯვებული იქნება. რამდენჯერ მითქვამს, ჩემს გულში პირველი „მილანია", მერე კი „ინტერი"! ამ ორი გუნდის ჟვრეთ წოდებული შუღლი გულშემატკივრების, პრესის და ისტორიის ბრალია, თორემ მე „ინტერი" ნამდვილად არ მეზიზღება. ახლავე შემიძლია, მასიმო მორატის წლეულს დამსახურებული სკუდეტო მივულოცო, პირადად კი მაშინ გადავეხვევი, როცა ვნახავ და ხელს ჩამოვართმევ.

— ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „მანჩესტერ იუნაიტედი" გელით...

— და რა უნდა გითხრათ, რომ გვეშინია? არავითარ შემთხვევაში! ვფიქრობ, „მანჩესტერს" უნდა ეშინოდეს ჩვენი. რა თქმა უნდა, ალექს ფერგიუსონის გუნდს ძალიან დიდ პატივს ვცემთ, მაგრამ... მერწმუნეთ, „მანჩესტერი" წყვილში ფავორიტი ნამდვილად არ არის. „რომას" 7:1 მოუგეს? პირველ შეხვედრაში ხომ რომაელებმა იმარჯვეს. ესე იგი, ინგლისელები დაუმარცხებლები ნაღდად არ არიან. მთავარია, ჩვენ რაციონალურად და ყურადღებით ვითამაშოთ.

— და, თუ „მილანმა" „მანჩესტერ იუნაიტედი" გაიარა, ათენურ ფინალში მეტოქედ ვის ისურვებდით?

— მხოლოდ და მხოლოდ „ლივერპულს". ბოდიში ანდრეი შევჩენკოსთან და მის „ჩელსისთან", მაგრამ ჩვენ გულშემატკივრებთან ვალში ვართ, მათ შევპირდით, თუ ფინალში გავედით და იქ „ლივერპულს" შევხვდებით, აუცილებლად უნდა მოვუგოთ — ორი წლის წინანდელ სტამბოლურ კოშმარს მხოლოდ ასე თუ დავივიწყებთ.

# ფრთხილად, ბომბია!

## რომა სტაფილონაჭამი ბატებით ააფეთქეს...



**საფეხბურთო** სამყაროსთვის კარგად არის ცნობილი, რომ იტალიაში განსაკუთრებულად ემოციური, აგრესიული და მხურვალე ქომაგები არიან. მათ ხან მოტოციკლეტი შეაქვთ სტადიონზე, ხან პოლიციელებს ეჩხუბებიან და სხვადასხვა საგნებს ისვრიან, ხან ერთმანეთში არკვევენ ურთიერთობას, ხანაც მსაჯებს, ფეხბურთელებსა თუ კლუბის ხელმძღვანელებს ემუქრებიან. პეტარდების სროლაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია...

საუბედუროდ, ზოგჯერ ეს ყველაფერი ტრაგედიით მთავრდება, როგორც, მაგალითად, რამდენიმე თვის წინ „კატანია" — „პალერმოს" მატჩის შემდეგ პოლიციელ ფილიპე რაჩიტის ესროლეს ხელნაკეთი ბომბი და მისი სიცოცხლე იმსხვერპლეს.

სწორედ ამის მერე გაილვიძეს იტალიური ფეხბურთის მამებმა და ახლახან სტადიონზე ქცევის წესები გაამკაცრეს, პირველ რიგში, სწორედ ულტრასების შესაზღუდად.

მთელი ეს შესავალი კი იმიტომ დაგვჭირდა, რათა ერთი სახალისო ამბავი ვთქვათ.

„რომას" მწვრთნელ-ფეხბურთელებს ჩემპიონთა ლიგაში „მანჩესტერთან" სამარცხვინო 1:7-ის მერე არც პრესის კრიტიკა აკლდათ და არც გაშმაგებული ფანების მუქარები.

„ოლდ ტრაფორდზე" განადგურებიდან ხუთი დღის მერე კი მავანმა პიროვნებამ კლუბის ოფისში დარეკა და განაცხადა, რომ ტრიგორიაზე, ანუ გუნდის საწვრთნელ ბაზაზე... ბომბია!

ტრიგორიაზე მისულ პოლიციელებსა და მენაღმეებს 120-კილოგრამიანი ყუთი დახვდათ.

და რა იყო მასში?

„დილით დარეკეს და გვითხრეს, რომ ჩვენი საწვრთნელი ბაზა დანაღმულია. როცა პოლიციამ ყუთი გახსნა, გაირკვა, რომ იგი სტაფილოებითა და რამდენიმე ცოცხალი ბატით იყო სავსე" — ღიმილით აღნიშნა „რომას" მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ.

როგორც ჩანს, „რომას" ფანების გარკვეულმა ნაწილმა „მანჩესტერთან" წაგებისთვის ასე „იძია" შური.

**გიორგი ქაქაბაძე**

# გაჩუმდით და ელოდეთ რონალდინიოს!

## რონალდო ასაკს და წონას გოლებით [illegible]



იტალიური „მილანის“ ბრაზილიელმა ფორვარდმა რონალდომ „გაძეტა დელო სპორტთან“ ინტერვიუში ბევრი საინტერესო რამ თქვა. მათ შორის, ისიც, რომ კვლავ „პირველი ნომერი“ იქნება და კარიერის დასრულება „მილანში“ სურს.

„ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ, მაგრამ საუკეთესო ფორმაში ჯერ არ გახლავართ. დიდი დატვირთვით ვვარჯიშობ და ვგრძნობ, რომ ცოტა სისწრაფე მაკლია, რამდენიმე კომპონენტშიც უნდა გავაძლიერო თამაში. თუმც ეს ნორმალურია, ნელ-ნელა ოპტიმალურ ფორმას ვუახლოვდები და „მილანის“ ექიმების წყალობით სწორ გზაზე ვდგავარ. ვიცი, რომ ამ პროცესის ბოლოს, ანუ მომავალი სეზონის დაწყებისთვის სრულ მზადყოფნაში ვიქნები. მე კვლავ პირველი ნომერი გავხდები“ — განაცხადა კოჭამ.

იანვარში, როცა „მილანმა“ „ფენომენის“ ყიდვა გადაწყვიტა, ბევრი მას ეჭვის თვალით უყურებდა, აქაოდა, რონალდო უკვე ბებერია, გასუქებულია, „რეალშიც“ სათანადოდ ვერ თამაშობს და „როსონერის“ როგორ წაადგებაო. თუმცა რონიმ სალაპარაკო ყველას მოუსპო...

„დარწმუნებული ვარ, ფეხბურთისთვის კიდევ ბევრის გაღება შემიძლია. ფრანჩესკო ტოტისა და ანდრეი შევჩენკოს ხნის ვარ და მათ ასაკზე ჯერ ლაპარაკიც არ ყოფილა. ასე რომ, არც ჩემი კარიერაა დამთავრებული, არც მე ვარ ბებერი, ეს უნდა გააანალიზოთ“ — თქვა ბრაზილიელმა თავდამსხმელმა, რომელიც 22 სექტემბერს 31 წლის გახდება.

რონალდოს „რეალიდან“ წამოსვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ფაბიო კაპელოსთან ცუდი ურთიერთობა იყო. მან უკვე საჯაროდ და არაერთხელ გააკრიტიკა კაპელო — ფეხბურთელებთან სათანადოდ მოქცევა არ იცის და მოძველებული მეთოდები აქვს, თავი გენერალი ჰგონიაო. როგორც ჩანს, კარლო ანჩელოტისთან კიჭას არანაირი პრობლემა არა აქვს...

„ანჩელოტისთან მშვენიერი ურთიერთობა მაქვს — ამბობს რონალდო — იგი მეგობარია და არა გენერალი. კარლოს კარგად ვუგებ, ისე, როგორც ჯიჯი სიმონის და ვისენტე დელ ბოსკეს ვუგებდი. ანჩელოტიმ იცის, როდის თქვას არა და გასახდელს ბრწყინვალედ აკონტროლებს. კარიერას „მილანში“ დავასრულებ — ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ რამდენიმე სეზონს კიდევ ჩავატარებ და მინდა, ეს შავწითელი მაისურით გავაკეთო.“

რონალდოს ეს განცხადებები ნამდვილად არ ესიამოვნებოდათ „ინტერის“ ფანებს. პირველ რიგში კი კლუბის პრეზიდენტ მასიმო მორატის, რომელიც ჯერ კიდევ განაწყენებულია მასზე „მილანში“ გადასვლის გამო.

რონალდო: „მორატის სადილზე დავპატიჟებ, მაგრამ ჯერ არა. მინდა, მას ჩემი „მილანში“ გადასვლის გამო გაბრაზებამ გადაუაროს. მორატისთან ჩინებული ურთიერთობა მქონდა და იმედია, ასეც იქნება. „ინტერი“ კი უკვე წარსულშია და ის ფაქტი, რომ „ნეროაძური“ ახლა სკუდეტოს იგებს, არ მაღელვებს.“

კიჭამ „მილანში“ რონალდინიოს შესაძლო გადასვლაზეც ილაპარაკა...

„ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლია, რათა პრეზიდენტ სილვიო ბერლუსკონის რონალდინიოს შეძენაში დავეხმარო. იმაზე საუბარს აზრი აღარ აქვს, თუ რა ბრწყინვალეა ყველაფერი „მილანში“, რადგან ეს რონიმ უკვე კარგად იცის.“

დაბოლოს, რონალდო ჩემპიონთა ლიგასაც შეეხო. ეს მისთვის ცოტა მტკივნეული თემაა, რადგან ბოლო წლების და უკვე ზოგადად მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ვარსკვლავს ეს პრესტიჟული ტიტული ჯერ არ მოუგია.

ბრაზილიელი ჩემპიონთა ლიგას ვერც წლეულს მოიგებს, რადგან მას ამ სეზონში „რეალის“ შემადგენლობაში ნათამაშები აქვს და „მილანს“ ვერც „მანჩესტერ იუნაიტედთან“ დაეხმარება ნახევარფინალში და „როსონერის“ გამარჯვების შემთხვევაში, ვერც ფინალში. სამაგიეროდ, რონალდო „ოლდ ტრაფორდზე“ თანაგუნდელების საქომაგოდ ჩასვლას აპირებს.

„მართლაც ძალიან მინდა, მანჩესტერში ჩავიდე და ბიჭებს ვუქომაგო, თუ ჩემი სავარჯიშო გრაფიკი ხელს არ შემიშლის. „მილანისგან“ ჩემპიონთა ლიგის მოგებას ველი, მაგრამ ეს მომავალ სეზონშიც უნდა გავიმეოროთ, როცა თამაში მეც შემეძლება“ — დასძინა რონალდომ.

**გიორგი კაკაბაძე**

# ფიგუს ბოლო სიტყვა ყატარია



**ლუიშ ფიგუს** არაბულ „ალ იტიჰადთან“ ერთწლიანი კონტრაქტი შეთანხმებული აქვს და ამ სეზონის მერე სათამაშოდ ყატარში რომ მიდის, ალბათ იცით.

ბოლო დროს კი გავრცელდა ხმები, 34 წლის პორტუგალიელმა შეიძლება გადაიფიქროს და „ინტერთან“ კონტრაქტი გაახანგრძლივოსო. თუმცა „სპორტინგის“, „ბარსელონასა“ და „რეალის“ ყოფილმა ფეხბურთელმა ეს ყველაფერი უარყო.

„გადაწყვეტილებას არ შევცვლი და ამ სეზონის მერე „ალ იტიჰადში“ გადავალ. რა თქმა უნდა, მაღალი დონის ფეხბურთი ძალიან მომენატრება, მაგრამ უკვე დიდი ხანია, ვთამაშობ, თან სულ გრანდებში. ჩემს ასაკში დროა, წასვლაზე ვიფიქრო, მიუხედავად იმისა, რომ ეს ძნელი გადასაწყვეტია. მას შემდეგ, რაც შარშან ჩემპიონობა გადმოგვცეს, ჩემი ერთადერთი მიზანია, მინდორზე მოვიპოვოთ სკუდეტო“ — თქვა 34 წლის ფიგუმ.

„ინტერი“ სკუდეტოს მართლაც ძალიან მიუახლოვდა. თუმცა რობერტო მანჩინის გუნდმა ამ უქმეებზე „პალერმოსთან“ მატჩში წინა წლის სექტემბრის მერე სერია A-ში პირველად ჩახედა მარცხს თვალებში: „ნეროაძური“ პირველი ტაიმის მერე 0:2-ს აგებდა, მაგრამ მეორე ნახევარში ანგარიშის გათანაბრება შეძლო. გოლის ავტორებს — ხულიო კრუზსა და ადრიანოს საგოლე პასები სწორედ ფიგუმ გაუკეთა.

„ჩემპიონობას კიდევ ერთი ნაბიჯით მივუახლოვდით. „პალერმოსთან“ მატჩი ცუდად დავიწყეთ, ადრეული გოლი გავუშვით. მეტოქემ ტაიმის ბოლო წუთებზეც გაგვიტანა და ყველაფერი ძალიან გართულდა, თუმცა, საბედნიეროდ, შესვენებაზე გასახდელში ვითარება დავალაგეთ. მანჩინის სიტყვებმა ჩვენზე კარგად იმოქმედა და სათანადო რეაქცია გამოვავლინეთ. სკუდეტოს მოპოვების წინასწარ აღნიშვნა არ მინდა, მაგრამ მიზანთან უკვე მართლა ძალიან ახლოს ვართ“ — დასძინა ფიგუმ.

**კოკი კანდელაკი**

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

## რონალდინიო

ნახევარმცველი

დაიბადა 1980 წლის 21 მარტს პორტუ ალეგრეში
სიმაღლე: 1,81 მეტრი
წონა: 80 კგ
კარიერა: 1998-2001 წლები — „გრემიო“
(110 მატჩი, 37 გოლი),
2001-03 წლები — „პარი სენ ჟერმენი“
(55 მატჩი, 17 გოლი),
2003 წლიდან — „ბარსელონა“ (114 მატჩი, 56 გოლი)
1999 წლიდან თამაშობს ბრაზილიის ნაკრებში
(73 მატჩი, 29 გოლი)
მეტსახელები: მაესტრო, გაუჩო, დინიო, რონი, მაჩო





## HUMMER H2

გამოშვების თარიღი: 2003 წელი
სიგრძე: 5,197 მეტრი
სიგანე: 2,062 მეტრი
სიმაღლე: 2,101 მეტრი
წონა: 2 903 კგ
ცილინდრი: 8
ძრავის კუბატურა: 6,0
ავტომატური გადაცემათა კოლოფი
სიჩქარე: 290 კმ/სთ
100 კმ/სთ-ს ავითარებს 8,0 წამში
ფასი: 60 000 დოლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოგკლავთ!

## ომი გამოცხადებულია: ტურიენსო ალვარესის ოჯახს ვიღაც-ვიღაცები სიკვდილით ემუქრებიან



## რასინგი — რეალის სკანდალური არბიტრი დასაკარგავში გაიხიზნა

**პრიმერადივიზიონის** 30-ე ტურის ყველაზე გამორჩეული პერსონა მსაჯი ხავიერ ტურიენსო ალვარესი გამოდგა.

„რასინგი“ — „რეალის“ სკანდალური მატჩის შემდეგ ესპანური მედიის წარმომადგენლებმა არბიტრის გამოსაჭერად ნამდვილი ნადირობა გამართეს, თუმცა მოხერხებული ტურიენსო რაღაც ხრიკებით მაინც დაუსხლტა პრესა-ტელევიზიას და მობილური ტელეფონიც გათიშა, ჟურნალისტები ამიკლებენო.

„რეალის“ ორი საეჭვო პენალტით და ორი ფეხბურთელის გაძევებით მომსპობი ტურიენსო ალვარესი მედიას ახლაც ემალება. მადრიდულმა „ასმა“ კი მის მეუღლეს, ანა ბელენ ალვარესს ჩააკითხა ლეონში.

სენიორა ალვარესი ჟურნალისტებს გულთბილად შეხვდა, თუმცა განაცხადა, რომ ვერაფრით დაეთანხმება იმ კრიტიკას, რომლითაც მისი ქმარი „ელ სარდინეროს“ მატჩის შემდეგ აიკლეს.

„ცხოვრებაში პირველად ვაძლევ ინტერვიუს — ჟურნალისტებთან არასოდეს მისაუბრია. მე და ჩემს მეუღლეს სკანდალური სიტუაციები არ გვიყვარს და ყოველთვის ვცდილობთ, პრესასთან ურთიერთობას თავი ავარიდოთ. თუმცა, რაც ახლა ჩვენს თავს ხდება, არანორმალურია და ეს აუცილებლად უნდა იცოდეთ. მე და ჩემი გოგონები დაზაფრულები ვართ, ვიღაც-ვიღაცები ტელეფონზე გამუდმებით მირეკავენ და სიკვდილით მემუქრებიან. ასეთი რა დავაშავეთ?! განა მედიის ბრალი არ არის, ამხელა სკანდალი რომ ააგორა?!“ — იკითხა თვალცრემლიანმა ანამ.

როცა სენიორა ალვარესს „ელ სარდინეროს“ შეხვედრაში ტურიენსოს მიერ დაშვებული შეცდომების და ამით გამოწვეული კრიტიკის შესახებ ჰკითხეს, მან უპასუხა: „ცხოვრებაში ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს, ჩვენთან დაკავშირებით კი ეს საზღვარი უხეშად დაარღვიეს. ჩემი უფროსი გოგონა 6 წლისაა, კითხვა უკვე ეხერხება და ვინმემ ის გაზეთები რომ შეაჩეჩოს, ხომ ნახავს, მამამისზე რა საშინელებებს წერენ... ამის გაძლება უკვე აღარ შემიძლია, ქმარი სახლში არ არის, მობილურიც გამორთო და ვერანაირად ვერ ვუკავშირდები... რაც ის მატჩი დასრულდა, ხავიერთან საერთოდ არ მისაუბრია“.

ანამ განაცხადა, რომ, თუ მისი მეუღლე პრესასთან ალაპარაკდება, ამით სკანდალს კი არ ჩააწყნარებს, პირიქით, გაამწვავებს...

„არბიტრთა ტექნიკური კომისიის წესდებით, მსაჯებს პრესასთან მათ მიერ განსჯილ მატჩზე კომენტარების გაკეთება ეკრძალებათ. ჰოდა, ჩემი მეუღლეც ამ დირექტივას ასრულებს“ — ამბობს სენიორა ალვარესი.

ბოლო ცნობებით, საბრალო ქალმა თავი ნათესავებს შეაფარა. ტურიენსოს და მისი ოჯახის ამოწყვეტის მსურველნი კი ძალიან გააქტიურდნენ და საქმეში უკვე პოლიციაც ჩაერთო.

**ლადო ხომერიკი**



AFP

# რაულ გონსალეს ბლანკომ ფრთები გამოისხა და ტურიენსოს მადლი მოისხა:

# დაანებეთ ამ მსაჯს თავი!

**რაულმა** განაცხადა, რომ მადრიდის „რეალში“ დარჩენას აპირებს.

„სამეფო თეთრების“ კაპიტანს ბოლო დროს მის სხვა კლუბში გადასვლაზე ატეხილი აჟიოტაჟი არ სიამოვნებს და ამბობს, რომ ერთადერთი მიზანი „რეალში“ დარჩენაა.

„ვისურვებდი, რომ კლუბმა გადაწყვეტილება უყოყმანოდ მითხრას. როცა საამისო დრო მოვა, „რეალის“ უფროსობა ამას აუცილებლად გააკეთებს. თუმცა ჯერჯერობით კლუბის მხრიდან არავითარი მესიჯი არ მიმიღია. თავს ძალიან მშვიდად ვგრძნობ, „რეალთან“ კონტრაქტით კიდევ სამი წელი მაკავშირებს და არ ვიცი, საიდან წარმოიშვა ჭორები, მომავალ სეზონში სხვა გუნდში ჩემი გადასვლის თაობაზე. ერთადერთი, რაც მინდა, მადრიდის „რეალში“ დარჩენაა“ — განაცხადა რაულმა.

სამეფო გუნდს უკვე სამი წელია, არაფერი მოუგია. თუ კასტილიელებმა ეს სეზონიც უტიტულოდ ჩაამთავრეს, კლუბში შეიძლება ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდეს. თუმც რაული ქომაგებს სიმშვიდეს და მოთმინებას ურჩევს...

„ამჟამად მხოლოდ ჩემპიონობაზე ვფიქრობთ და „რეალის“ ყოველ ფეხბურთელს და კლუბთან დაკავშირებულ ყოველ პირს სტაბილურობა და სიმშვიდე სჭირდება. ვადამდელი არჩევნები საჭირო არ არის — გვყავს პრეზიდენტი რამონ კალდერონი, რომელიც სულ რამდენიმე თვის წინ ავირჩიეთ და რომელმაც გუნდს კიდევ სამ წელიწადზე მეტი ხნით უნდა უხელმძღვანელოს. ყველაზე მეტად სტაბილურობა გვჭირდება, ფეხბურთელებს და „რეალის“ უფროსობას მუშაობის საშუალება უნდა მივცეთ. ბოლო რამდენიმე სეზონში წამხდარ საქმეს თორმეტ თვეში ვერ გამოასწორებ.“

რაულმა თქვა, რომ პრიმერას ცხრილში ლიდერ „ბარსელონასთან“ ხუთქულიანი ჩამორჩენა მნიშვნელოვანი პრობლემაა, მაგრამ არა ისეთი, რომლის აღმოფხვრასაც სამეფო გუნდი ვერ შეძლებს.

ამასთან მადრიდის „რეალის“ კაპიტანმა არბიტრ ხავიერ ტურიენსო ალვარესსაც შეაწია ორიოდ სიტყვა...

„ის თამაში წავაგეთ, მაგრამ „რეალი“ მსაჯის ლანძღვას არ დაიწყებს, გადაწყვეტილება კლუბის უფროსობამ უნდა მიიღოს. არბიტრებზე ყოველთვის კარგს ვფიქრობ და მათ სამუშაოს ვაფასებ — ადამიანები ვართ და ოთხმოცდაათ წუთში, გულშემატკივართა ჩათვლით, შეცდომა ყველას შეიძლება მოგვივიდეს. უნდა ვეცადოთ, რომ ფეხბურთმა თავისი დაძაბულობა შეინარჩუნოს, ოღონდ სპორტული მხარეც არ დაიკარგოს. ჩვენ სუფთა, ყოველგვარი სიბინძურეებისგან დაცული ფეხბურთის მომხრეები ვართ“ — აღნიშნა გონსალეს ბლანკომ.

**ლადო ხომერიკი**

## თუ ბერლუსკონიმ თქვა...

**რონალდინიო** ამ ზაფხულს „ბარსელონადან“ „მილანში“ გადასვლას აპირებს — ასეთი კატეგორიულია იტალიური მედია, რომელიც საагენტო „გლობოსპორტეს“ წარმომადგენლის განცხადებას ეყრდნობა.

განცხადება კი ასეთია: „თუ იტალიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ თქვა, რომ რონალდინიო „მილანში“ გადასვლას დაჰყაბულდა, როგორ შეიძლება, მე ამას არ დავეთანხმო?! ნება მომეცით, გაცნობოთ, რომ ეს სრული სიმართლეა. რაც შეეხება „ბარსასთან“ საქმის მოგვარებას, ამასაც მოვახერხებთ“.

## კუნთგაწყვეტილი

**მარჯვენა** ბარძაყზე კუნთის გაწყვეტის გამო „ბარსელონას“ მცველი ჟულიანო ბელეტი ერთი თვე ვეღარ ითამაშებს. ბრაზილიელი „მალიორკასთან“ მატჩის დასრულებამდე 9 წუთით ადრე შევიდა მოედანზე და მალევე დაიწყო კოჭლობა.

მანამდე ბელეტის საზარდულის ტრავმა ჰქონდა, რომელმაც ფეხბურთელს ერთი კვირის წინ „სარაგოსასთან“ მატჩი გამოატოვებინა.

## სამი თვით ოთხ ფეხზე

**მოსკოვის** ცსკა-ს ნახევარმცველ დანიელ კარვალიუს პარასკევს ლონდონში მარცხენა მუხლზე ურთულესი ოპერაცია გაუკეთეს, რომელიც ხუთი საათი გრძელდებოდა. ბრაზილიელი სამი თვის განმავლობაში ყავარჯნებით ივლის, მერე „სიარულს ისწავლის“, ვარჯიშს კი მომავალი წლის მარტში დაიწყებს.

## დანიანი დინამო

**პორტუგალიელმა** დანიმ მოსკოვის „დინამოსთან“ ახალი, სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 23 წლის შემტევი თვეში 90 ათას ევროს ჩაიჯიბავს, სამჯერ მეტს, ვიდრე მანამდე ჰქონდა. მას ხელშეკრულების ვადა ეწურებოდა და შეეძლო, თავისუფალი აგენტის სტატუსით სხვა კლუბში გადასულიყო, „დინამო“ კი ერთ ევროსაც ვერ მიიღებდა.

დანის გადაბირება „სპარტაკს“ და ცსკა-ს სურდათ.

## თავით ნაცემი მაგიდა

**მოლდოვის** პოლიციის კომისარმა გრიგორი კოპიმულცმა თქვა, რომ „შერიფის“ ფეხბურთელ სემიონ ბულგარუს მამის პოლიციელთაგან ცემის ამბავი ტყუილია. ამბავი კი ერთი კვირის წინ „ზიმბრუსა“ და „შერიფის“ სათასო მატჩისას მოხდა. მაშინ ფეხბურთელის მამა ვასილიმ განაცხადა, რომ „შერიფის“ ქომაგობის გამო იგი ფორმიანებმა სტადიონიდან გაათრიეს და განყოფილებაში ცემეს. კოპიმულცი კი საპირისპიროს ამტკიცებს. მისი ვერსიით, გალეშილი ვასილი ბულგარუ სტადიონზე იგინებოდა, აგრესიული იყო, რკინის დამცავ მესერს თავი თავადვე ურტყა, შემდეგ განყოფილებაში მაგიდაც თავით „ცემა“ და ბოლოს ყველაფერი პოლიციას დააბრალა.

„შერიფის“ პრესრელიზში კი წერია, რომ ექსპერტიზამ ნაცემი ბულგარუს სისხლში ალკოჰოლი ვერ აღმოაჩინა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# შუმახერი გაელჩდა




**მიხაელ შუმახერი** ევრო 2008-ის ელჩი გახდა — ამის შესახებ უეფამ გუშინ ოფიციალურად განაცხადა.

ლეგენდარული გერმანელის გარდა ელჩები არიან ჩოგბურთელი როჯერ ფედერერი, ფეხბურთელი შტეფან შაპუიზა, მოთხილამურე ბერნარდ რუსი და „ფორმულა 1"-ის გუნდ „ზაუბერის" ყოფილი შეფი, შვეიცარიელი პეტერ ზაუბერი.

„ძალიან სასიამოვნოა, რომ ბევრი დიდებული სპორტსმენი ელჩობაზე დაგვთანხმდა" — განაცხადა შვეიცარიის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა რალფ ცოლკზაუერმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# დაუსრულებელი ჯიჯღინი

## პალერმოს პრეზიდენტმა მისი გუნდის მწვრთნელს მშიშარა გოგო უწოდა

**სიცილიური** „პალერმოს" გიჟმაჟი პრეზიდენტი მაურიციო ძამპარინი გუნდის მთავარი მწვრთნელ ფრანჩესკო გვიდოლინის ლანძღვას არა და არ ეშვება. გამოცდილ ტაქტიკოსს მან ამჯერად „გოგოსავით მშიშარა" უწოდა.

გეცოდინებათ, გასულ კვირას „პალერმომ" „ინტერს" „სან სიროზე" პირველი ტაიმი 2:0 მოუგო, თუმცა მეორე ნახევარში უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და საბოლოოდ მატჩი ფრედ, 2:2 დასრულდა.

ძამპარინი ამაში სწორედ გვიდოლინის ადანაშაულებს...

„გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, მაგრამ მწვრთნელით — არა. მას მთელი კვირის მანძილზე ველაპარაკებოდი და ვეუბნებოდი, დამშვიდებულიყო. დასაკარგი არაფერი გვაქვს და ამიტომ რისკზე უნდა წავიდეთ — ისეთი ფეხბურთელები უნდა ვათამაშოთ, რომლებსაც მატჩში გარდატეხის შეტანა შეუძლიათ. მან კი მეორე ტაიმში, როცა 2:0-ს ვიგებდით, თავდამსხმელი ნახევარმცველით შეცვალა და რასაც მიაღწია, ხედავთ. „ინტერთან" დაცვითი ფეხბურთი არ უნდა ითამაშო!" — თქვა ძამპარინიმ.

საერთოდ, „პალერმოს" უცუდესი პერიოდი უდგას. გუნდმა ძალიან ბევრი ქულა გაფლანგა და ახლა ოთხეულში დაბრუნება კი არა, უეფას თასის საგზურის მოპოვებაც გაუჭირდება.

„ინტერამდე" „კალიარისთან" საშინაო მარცხი იყო, რამაც ძამპარინი ძალიან გააბრაზა და მაშინ მან თქვა, ეს გვიდოლინის ბოლო თამაშიაო. თუმცა მერე გადაიფიქრა და განაცხადა, შედეგების მიუხედავად, იგი სეზონის ბოლომდე დარჩებაო.

მაურიციო ძამპარინი: „ვფიქრობ, იგი ბრწყინვალე ტაქტიკოსია, მაგრამ, როცა ცოტა ფანტაზია და გუნდის შეტევაში გადახალისებაა საჭირო, უჭირს. იგი შეუდარებელია, როცა დიდ კლუბებთან დაცვითი თამაში უწევს. შესაძლოა, გვიდოლინი, უბრალოდ, ჩემთვის არის მიუღებელი. იგი კარგი პიროვნებაა, მაგრამ ზედმეტად სევდიანი. თუმცა ისიც მესმის, რომ ძნელია, ისეთი მწვრთნელის პოვნა, რომელიც ჩემი კომენტარების შემდეგ ღიმილს შეინარჩუნებს. გვიდოლინი მომწონს როგორც ადამიანი, მაგრამ „ინტერთან" მატჩის მერე ვუთხარი, რომ მშიშარა გოგოსავით მოიქცა."

ბოლოს კი „პალერმოს" პრეზიდენტმა ისიც დაადასტურა, რომ გადაწყვეტილება არ შეუცვლია და ფეხბურთიდან წასვლას აპირებს, თუმც ჯერ სათანადო შემცვლელი უნდა იპოვოს.

„ჩემს შემცვლელს უკვე ვეძებ. შედეგების გამო არ მივდივარ — უბრალოდ, ფეხბურთში კალჩოპოლის სკანდალის მერეც ბევრი არაფერი შეცვლილა და ამ ყველაფერმა დამღალა. თუმცა პარალელურად გუნდის მომავალზეც ვფიქრობ და ისეთ ფეხბურთელებს ვეძებ, რომელთა მოყვანაც „პალერმოს" გააძლიერებს" — განაცხადა ძამპარინიმ.

**ძოძი ძანდელაძი**

# ქომაგს პიზარო, ბარსას კლოზე



## ვინ, სად, როდის?

**„ბარსელონა"** გერმანელ მიროსლავ კლოზეს არ ეშვება — წერს GOAL.COM-ი.

დიეგო ფორლანის, დიეგო მილიტოს და როდრიგო პალასიოს შეძენა ნაკლებად სავარაუდოა და ამიტომაც ამოიჩემა „ბარსამ" „ვერდერის" ფორვარდი, რომლის ფასიც 5-7 მილიონი ევროა.

კლოზეს ბრემენულ კლუბთან კონტრაქტი 2008 წლის ივნისში ეწურება, გახანგრძლივებას კი არ აპირებს. „მუსიკოსები" ხელცარიელები რომ არ დარჩნენ, ურჩევნიათ, წლეულსვე გაყიდონ მეგოლე.

გარდა ამისა, ბარსელონელები მიუნხენის „ბაიერნის" პერუელ კლაუდიო პიზაროზეც ფიქრობენ. „ელ მუნდო დეპორტივოს" მიერ გამოკითხულ ქომაგთა უმრავლესობა პიზაროს შეძენას ემხრობა. მეორეზე სარაგოსელი დიეგო მილიტოა, მესამეზე კი — მიროსლავ კლოზე.

**ვაჟა ხუციშვილი**



# რონალდუ ბენტლის საჭესთან

**ინგლისურ** „მანჩესტერ იუნაიტედთან" ახალი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ კრიშტიანუ რონალდუ კლუბის ისტორიაში ყველაზე მაღალხელფასიანი ფეხბურთელი გახდა — ახალი გარიგების თანახმად, 22 წლის პორტუგალიელს კვირაში 119 ათას გირვანქას (წელიწადში 6 მილიონ 200 ათასი) გადაუხდიან.

კონტრაქტზე ხელის მოწერა რონალდუმ ახალი ავტომობილის შეძენით აღნიშნა. მან 140-ათასიანი „ბენტლი" იყიდა სანომრე ნიშნით — 07. ეს მისი ნომერია „მანჩესტერშიც".

რონალდუმდე ყველაზე მეტი ჯამაგირი რიო ფერდინანდს ჰქონდა.

# ინტერმა დიარამდე იარა

**იტალიური** „გაძეტა დელო სპორტი" ამტკიცებს, რომ მილანის „ინტერმა" მადრიდის „რეალთან" მაჰამადუ დიარას ტრანსფერზე მოლაპარაკება დაიწყო. „შავ-ლურჯთა" მწვრთნელ რობერტო მანჩინის ძალიან მოსწონს მალელი საყრდენი ნახევარმცველის თამაში.

დიარა შარშან გადავიდა „ლიონიდან" „რეალში". ფაბიო კაპელოს ხელში ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია, მაგრამ იტალიელი სეზონის ბოლოს თუ წავა, შესაძლოა, დიარა გაურკვევლობაში აღმოჩნდეს.

# ვაჭრობა იაფზე

**ტურინის** „იუვენტუსმა" „ფიორენტინასთან" ლუკა ტონის ფასზე მოლაპარაკება განაახლა. „ტუტოსპორტის" ცნობით, „იები" ფორვარდის სანაცვლოდ 5 მილიონ 300 ათას ევროს, მარკო მარკიონის და დომენიკო კრიშიტოს ითხოვენ.

დიდიე დეშანს კრიშიტოს გაშვება არ უნდა, რადგან ეს ფეხბურთელი „იუვეს" მომავლად მიაჩნია. რაც შეეხება ლუკა ტონის პირად კონტრაქტს, აქ ყველაფერი შეთანხმებულია — „იუვენტუსში" გადასვლის შემთხვევაში, ფორვარდი წელიწადში 3 მილიონ 800 ათას ევროს მიიღებს.

# ამას მიმალავდით?!

**„ნიუკასლის"** მწვრთნელმა გლენ როედერმა უარყო ცნობა მაიკლ ოუენის „მანჩესტერში" გადასვლის თაობაზე.

გუშინწინ „ნიუს ოფ ზე ვორლდმა" დაწერა, ალექს ფერგიუსონი ინგლისელი მეგოლის ყიდვას ცდილობს და 12 მილიონ გირვანქას იხდისო.

„გარდიანთან" ინტერვიუში კი როედერმა განაცხადა: „ეს ახალი ამბავია ჩემთვის. 11 თვე იმიტომ ველოდე ოუენის გამოჯანმრთელებას, რომ „მანჩესტერს" მივყიდოთ?! ერთი სული მაქვს, როდის ვნახავ მაიკლს „ნიუკასლის" მაისურით. მომავალ სეზონში გუნდი მასზე უნდა ავაწყო და ოუენის გაშვებას არ ვაპირებ".

# რეკორდსმენი კანი

**ამ** უქმეებზე „ლევერკუზენთან" მიუნხენის „ბაიერნის" მოგების შემდეგ ოლივერ კანმა მოგებათა რაოდენობით ბუნდესლიგის რეკორდი მოხსნა — 37 წლის კანს 528 მატჩში 292 გამარჯვება მოუგროვდა და მანფრედ კალცს (291) გაასწრო.

მესამე ადგილზე არიან ლოთარ მათეუსი და ზეპ მაიერი (249-249). კალცმა 581 მატჩი ითამაშა, მათეუსმა 464, ხოლო მაიერმა — 473.

# კამორანეზი: სამი და სამი

**„იუვენტუსი"** მაურო კამორანეზის კონტრაქტის 2010 წლამდე გახანგრძლივებას შესთავაზებს. მსოფლიოს ჩემპიონ ნახევარმცველს შარშან ზაფხულს გუნდიდან წასვლა უნდოდა, როცა „იუვე" სერია B-ში ჩააქვეითეს, მაგრამ არ გაუშვეს. ახლა ვითარება შეიცვალა და ფეხბურთელს დარჩენა სურს.

სავარაუდოდ, თვის ბოლომდე კამორანეზი სამწლიან ხელშეკრულებას გააფორმებს, რომლითაც წელიწადში 3 მილიონ ევროს მიიღებს.

# კაპიტანი გარბის

**„ლივორნოს"** კაპიტანმა კრისტიანო ლუკარელიმ გადაწყვიტა, ამ ზაფხულს გუნდიდან წავიდეს. მას ურთიერთობა გაუფუჭდა კლუბის პრეზიდენტ ალდო სპინელისთან.

„აქ უკვე საკმაო გამოცდილება მივიღე — თქვა ლუკარელიმ — უსამართლობაა, როცა გულშემატკივრები უგულო გარჯას და მეტოქესთან გარიგებას გაბრალებენ. სეზონის ბოლომდე ჩემს საქმეს შევასრულებ და მერე სხვა გუნდს მოვნახავ."

ალდო სპინელიმ კრისტიანო ლუკარელი 8 მილიონ ევროდ შეაფასა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## მექსიკა

**კლაუსურა. XV ტური**

ამერიკა 2:1 ტეკოსი
სანტოსი 3:0 ატლანტა
ტოლუკა 0:2 პაჩუკა

## არგენტინა

**კლაუსურა. X ტური**

ესტუდიანტესი 0:0 ლანუსი

## აშშ

**MLS. II ტური**

კოლორადო 1:1 ჩიკაგო

## ჩილე

**პრიმერადივიზიონი XIII ტური**

ო ჰიგინსი — უნივ. კონსეპსიონი 4:2; დეპ. კონსეპსიონი — კობრესალი 1:1; უნიონ ესპანიოლა — პალესტინო 1:1; პუერტო მონტი — ლოტა 0:1; ევერტონი — კოლო კოლო 0:3; უნივ. დე ჩილე — ატლეტიკო 1:1; ლა სერენა — მელიპილია 2:1; კობრელოა — კოკიმბო 5:1; უაჩიპატო — ანტოფაგასტა 3:1; აუდაქს იტალიანო — უნივ. კათოლიკა 1:3

# სარბიელი და კროკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წარმოგიდგენთ

### ინგლისი. პრემიერლიგა

17 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 1 | არსენალი-სიტი | 1.40 | 3.75 | 7.00 | 1.01 | 1.16 | 2.44 |
| 22:45 | 2 | არსენალი-სიტი 0:1 | 2.00 | 3.30 | 2.80 | | | |
| 23:00 | 3 | მანჩესტერი-შეფილდი | 1.15 | 5.50 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.02 |
| 23:00 | 4 | მანჩესტერი-შეფილდი 0:1 | 1.45 | 4.30 | 4.40 | | | |

18 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 5 | ვესტ ჰემი-ჩელსი | 7.00 | 3.70 | 1.50 | 2.42 | 1.23 | 1.06 |
| 23:00 | 6 | ვესტ ჰემი-ჩელსი 1:0 | 2.40 | 3.30 | 2.30 | | | |
| 23:00 | 7 | ბლექბერნი-უოტფორდი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 23:00 | 8 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |

### ინგლისი. ჩემპიონატი

17 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 21 | ბარნსლი-ნორვიჩი | 2.15 | 3.20 | 3.30 | 1.28 | 1.30 | 1.62 |
| 22:45 | 22 | ლესტერი-ბირმინგემი | 3.20 | 3.30 | 2.10 | 1.62 | 1.26 | 1.28 |

### ინგლისი. კონფერენსი

17 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 59 | სტივენეიჯი-რაშდენი | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 22:45 | 60 | კიდერმინსტერი-ალდერშოტი | 2.20 | 3.40 | 2.90 | 1.33 | 1.25 | 1.56 |
| 22:45 | 61 | სტ.რეინჯერსი-ნორთვიჩი | 1.95 | 3.30 | 3.40 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| 22:45 | 591 | ბარტონი-ჰალიფაქსი | 1.70 | 3.50 | 4.50 | 1.14 | 1.23 | 1.96 |

### შოტლანდია. I დივიზიონი

17 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 756 | კლაიდი-სტ ჯონსტონი | 2.70 | 3.40 | 2.20 | 1.50 | 1.21 | 1.33 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)

17 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 120 | ემდენი-უნ ბერლინი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |

### შვეიცარია. სუპერლიგა

17 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:45 | 156 | სტ-გალენი-ბაზელი | 2.80 | 3.20 | 2.35 | 1.49 | 1.27 | 1.35 |

18 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:45 | 157 | აარაუ-იანგ ბოიზი | 3.20 | 3.20 | 2.15 | 1.60 | 1.28 | 1.28 |
| 21:45 | 158 | შაფჰაუზენი-გრასჰოპერი | 3.10 | 3.20 | 2.20 | 1.57 | 1.28 | 1.30 |
| 21:45 | 159 | თუნი-ლუცერნი | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 21:45 | 160 | ციურიხი-სიონი | 1.60 | 3.60 | 5.30 | 1.10 | 1.22 | 2.14 |

### იტალია. სერია A

18 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 184 | ასკოლი-მილანი | 7.70 | 3.60 | 1.45 | 2.45 | 1.22 | 1.03 |
| 17:00 | 185 | ემპოლი-ატალანტა | 2.30 | 2.90 | 3.20 | 1.28 | 1.33 | 1.52 |
| 17:00 | 186 | ინტერი-რომა | 1.80 | 3.20 | 4.50 | 1.15 | 1.28 | 1.87 |
| 17:00 | 187 | ლაციო-კიევო | 1.60 | 3.30 | 6.30 | 1.07 | 1.27 | 2.16 |
| 17:00 | 189 | ლივორნო-კალიარი | 2.05 | 2.90 | 4.00 | 1.20 | 1.35 | 1.68 |
| 17:00 | 190 | პარმა-ფიორენტინა | 3.55 | 3.00 | 2.15 | 1.62 | 1.33 | 1.25 |
| 17:00 | 192 | რეჯინა-მესინა | 1.75 | 3.10 | 5.00 | 1.11 | 1.29 | 1.91 |
| 17:00 | 193 | სიენა-ტორინო | 2.20 | 2.90 | 3.55 | 1.25 | 1.35 | 1.59 |
| 17:00 | 194 | უდინეზე-სამპდორია | 2.00 | 3.00 | 4.00 | 1.20 | 1.33 | 1.71 |

### იტალია. სერია B

17 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 207 | ალბინოლეფე-ლეჩე | 2.30 | 2.50 | 3.90 | 1.19 | 1.44 | 1.52 |
| 19:30 | 208 | ბარი-კროტონე | 1.85 | 2.90 | 4.50 | 1.12 | 1.31 | 1.76 |
| 19:30 | 209 | ბოლონია-პესკარა | 1.40 | 3.70 | 8.30 | 1.01 | 1.19 | 2.55 |
| 19:30 | 210 | ფროზინონე-ტრიესტინა | 2.45 | 2.30 | 3.80 | 1.18 | 1.48 | 1.43 |
| 19:30 | 211 | ჯენოა-ვიჩენცა | 1.47 | 3.40 | 7.30 | 1.02 | 1.22 | 2.31 |
| 22:30 | 212 | იუვენტუსი-რიმინი | 1.23 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.10 | 3.43 |
| 22:30 | 213 | მანტოვა-არეცო | 1.45 | 3.60 | 6.50 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| 19:30 | 214 | პიაჩენცა-ბრეშა | 1.85 | 3.00 | 4.30 | 1.14 | 1.29 | 1.76 |
| 19:30 | 215 | ტრევიზო-ნაპოლი | 3.10 | 2.50 | 2.60 | 1.38 | 1.41 | 1.27 |
| 19:30 | 216 | ვერონა-მოდენა | 2.00 | 2.70 | 4.30 | 1.14 | 1.36 | 1.65 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი

18 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 270 | ბორდო-ნანსი | 1.67 | 3.20 | 6.00 | 1.09 | 1.30 | 2.08 |
| 21:00 | 271 | ლიონი-რენი | 1.50 | 3.50 | 7.50 | 1.04 | 1.25 | 2.38 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი

17 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 287 | გრენობლი-სტრასბური | 2.70 | 2.70 | 2.70 | 1.35 | 1.35 | 1.35 |

### შვედეთი. ალსვენსკა

17 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 478 | გოტებორგი-აიკ | 2.45 | 3.20 | 2.70 | 1.38 | 1.28 | 1.46 |
| 21:00 | 479 | იორებრო-ელფსბორგი | 3.50 | 3.30 | 2.00 | 1.69 | 1.27 | 1.24 |

### შვედეთი. სუპერეტა

19 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 489 | იონკოპინგი-ბანკეფლო | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| 21:00 | 490 | იორგრიტე-დეგერფორსი | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |

### გერმანია. თასი

17 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 556 | ნიურნბერგი-აინტრახტი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |

18 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 557 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 2.60 | 3.10 | 2.60 | 1.41 | 1.29 | 1.41 |

### ესპანეთი. თასი

18 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 566 | დეპორტივო-სევილია | 2.70 | 3.20 | 2.50 | 1.46 | 1.29 | 1.40 |
| 23:00 | 567 | ბარსელონა-ხეტაფე | 1.35 | 4.40 | 9.00 | 1.03 | 1.17 | 2.95 |

### საფრანგეთი. თასი

17 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 568 | მონსიო-სოშო | 7.00 | 3.40 | 1.50 | 2.28 | 1.23 | 1.04 |

18 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 569 | მარსელი-ნანტი | 1.65 | 3.30 | 5.30 | 1.10 | 1.25 | 2.03 |

### პორტუგალია. თასი

17 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 574 | ბელენენსეში-ბრაგა | 2.20 | 2.90 | 3.00 | 1.25 | 1.26 | 1.47 |

19 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 575 | სპორტინგი-ბეირა მარი | 1.25 | 4.60 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.15 |

### რუსეთი. თასი

18 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:00 | 576 | დინამო ბრიანსკი-როსტოვი | 3.60 | 2.80 | 2.15 | 1.57 | 1.34 | 1.21 |
| 17:00 | 577 | კრილია-მოსკოვი | 2.50 | 2.70 | 3.00 | 1.29 | 1.36 | 1.42 |
| 19:00 | 578 | ლოკომოტივი მ-დინამო მ | 1.75 | 3.20 | 4.50 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| 19:00 | 579 | სპარტაკი მ-ზენიტი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |

### ლიბერტადორესის თასი

18 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 582 | ბანფილდი-ლიბერტადი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 23:45 | 583 | ალიანზა ლიმა-სან პაულუ | 5.00 | 3.40 | 1.60 | 2.02 | 1.21 | 1.08 |
| 23:45 | 584 | ფლამენგო-რეალ პოტოსი | 1.17 | 5.20 | 13.00 | 1.00 | 1.07 | 3.71 |
| 23:45 | 585 | პარანა-მარაკაიბო | 1.20 | 5.00 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.52 |
| 23:45 | 586 | ამერიკა-ელ ნასიონალი | 1.15 | 5.30 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.67 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12001 | არსენალი-სიტი | 1.90 | 1.70 |
| 12003 | მანჩესტერი-შეფილდი | 2.10 | 1.55 |
| 12005 | ვესტ ჰემი-ჩელსი | 1.70 | 1.90 |
| 12007 | ბლექბერნი-უოტფორდი | 1.70 | 1.90 |
| 12008 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | არსენალი-სიტი | 1.90 | 1.70 |
| 13003 | მანჩესტერი-შეფილდი | 2.20 | 1.50 |
| 13005 | ვესტ ჰემი-ჩელსი | 1.70 | 1.70 |
| 13007 | ბლექბერნი-უოტფორდი | 1.70 | 1.90 |
| 13008 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.90 | 1.70 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | არსენალი-სიტი | 1.07 | 2.90 |
| 14005 | ვესტ ჰემი-ჩელსი | 2.60 | 1.20 |
| 14007 | ბლექბერნი-უოტფორდი | 1.30 | 2.50 |
| 14008 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.18 | 2.65 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15005 | ვესტ ჰემი-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | ბლექბერნი-უოტფორდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | ლივერპული-მიდლსბრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | არსენალი-სიტი | 1.07 | 6.00 |
| 16005 | ვესტ ჰემი-ჩელსი | 5.20 | 1.10 |
| 16007 | ბლექბერნი-უოტფორდი | 1.16 | 4.00 |
| 16008 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.05 | 6.30 |

### გოლი:წყვილი-ლუწი კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | არსენალი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | მანჩესტერი-შეფილდი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | ვესტ ჰემი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ბლექბერნი-უოტფორდი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | არსენალი-სიტი | 1.80 | 2.40 | 7.00 | 1.02 | 1.43 | 1.78 |
| 10003 | მანჩესტერი-შეფილდი | 1.35 | 3.10 | 12.00 | 1.00 | 1.21 | 2.46 |
| 10005 | ვესტ ჰემი-ჩელსი | 6.00 | 2.30 | 1.85 | 1.66 | 1.41 | 1.02 |
| 10007 | ბლექბერნი-უოტფორდი | 2.05 | 2.10 | 5.40 | 1.03 | 1.48 | 1.51 |
| 10008 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.80 | 2.40 | 7.00 | 1.02 | 1.43 | 1.78 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | არსენალი-სიტი | 1.90 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11005 | ვესტ ჰემი-ჩელსი | 11.00 | 11.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 12.00 | 1.90 |
| 11007 | ბლექბერნი-უოტფორდი | 2.20 | 12.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11008 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.75 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |

## შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

# ქართული ლეგიონი

# მოუზომეს და მიიზომა

## იტალიის მერე ელისს საქართველო ელის

**ტაირონ** ელისმა საქართველოს მოქალაქეობა რომ მიიღო და ჩვენს ეროვნულ გუნდში ითამაშა, იმ დროს სათამაშო პრაქტიკა აკლდა. აბა, ახლა ვნახოთ, მომავალ საკვალიფიკაციო მატჩებისას როგორ იფრენს ნატურალიზებული ამერიკელი. ელისს თავდაპირველად „ნაპოლშიც“ გაუჭირდა, თუმც ადაპტაციის გავლის შემდეგ საგრძნობლად მოუმატა და ახლა ნეაპოლური გუნდის მთავარი ლიდერია. „ნაპოლი“ სერია A-ში ბოგანო როდია, ბოლო ხანებში თამაშს თამაშზე იგებს და თუ ძალიან არ აურია, პლეი ოფშიც მოხვდება.

ყველაფერი ეს ელისის დამსახურებაცაა, რომელიც თითქმის ყოველ მატჩში ბომბარდირობს და გასულ ტურშიც საუკეთესო იყო თავისიანთაგან. „ნაპოლიმ“ სტუმრად „სკაფატი“ რომ დაამარცხა, ელისმა 28 წუთში 22 ქულიანი წილი დაიდო და ნეაპოლელებმაც გამანადგურებელი ანგარიშით იმარჯვეს.

სერია A-ში კიდევ უფრო ყოჩაღობს „სიენა“, თუმც ვლადიმერ ბოისა კარგი თამაშით ვერ დაიკვეხნის. რა ხანია, ვოვა 5-ქულიან თამასას ვერ ასცდენია და მოედანზე 15 წუთზე მეტით არ გადის. ამჯერად „სიენამ“ „დორლანდო“ იმსხვერპლა, ბოისამ კი 10 წუთი ითამაშა და 3 ქულა მოაგროვა.

ნიკა ცქიტიშვილსაც უკვე მოუზომეს სათამაშო დრო — დაახლოებით 20 წუთი. „ცქიტომაც“ მოიზომა თავისთვის საქულე ნიშნული და დაახლოებით 10-ის ფარგლებში ტრიალებს. ამჯერად ნიკამ 11 ქულა შეაშველა სანფერნანდოელებს, თუმც თავისი გუნდი წაგებისგან მაინც ვერ იხსნა.

სლოვენიის ჩემპიონატში პირველი წაგება იწვნია მანუჩარ მარკოიშვილის „ოლიმპიამ“, რომელმაც გასულ კვირაში ჯერ „კრკა“ გათელა, ხოლო შემდეგ შინ მოულოდნელად „ჰელიოსთან“ დამარცხდა. მოგებულ მატჩში მანუ 18 ქულით ბომბარდირი გახდა, ხოლო წაგებულში მოიკოჭლა — 7 ქულას დასჯერდა.

გიორგი ცინცაძეს საპლეიოფო ციებ-ცხელება დაეწყო, თუმც მეოთხედფინალურ სერიაში მისი „როკი“ მერვეადგილოსან და შესაბამისად სუსტ „ველგის“ შეხვდა. „როკერებმა“ უკვე ორი თამაში მოუგეს მეტოქეს და ნახევარფინალში არიან. ცინცაძემ პირველი მატჩში 7 ქულა, 5 მოხსნა და 6 ქულა მიითვალა, მეორეში კი ქულა ვერ, [illegible] 7 [illegible].

ვიქტორ სანიკიძის „ესტუდიანტესი“ ესპანეთის ჩემპიონატის გასულ ტურში ისვენებდა, რადგან ევროთასზე მესამე ადგილისთვის მატჩი ჰქონდა იტალიურ „ვირტუსთან“. ესპანურმა გუნდმა წააგო, ხოლო სანიკიძემ 12 წუთში 1 ქულა და 4 მოხსნა მიითვალა.

გასული კვირა ტრავმიანი გამოდგა ზაზა ფაჩულიასთვის. მან „ატლანტას“ სამი მატჩიდან ერთში მიიღო მონაწილეობა და იქაც გამოირჩა — „ბოსტონს“ 22 ქულა ჩაუგდო და 12 ბურთი მოუხსნა. ზაზას ფეხი აქვს ნატკენი და დღემდე მკურნალობს.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გიორგი ცინცაძე | როკი | ესტონეთის ჩემპიონატი | ველგი<br>ველგი | შ<br>ს | 96:67<br>100:71 | 25<br>19 | 7<br>0 | 5<br>3 | 6<br>7 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | სლოვენიის ჩემპიონატი | კრკა<br>ჰელიოსი | ს<br>შ | 89:62<br>82:87 | 38<br>29 | 18<br>7 | 5<br>4 | 4<br>0 |
| ვლადიმერ ბოისა | სიენა | სერია A | დორლანდო | ს | 77:58 | 10 | 3 | 0 | 0 |
| ტატო ვაშაკიძე | ნევეჟისი | ლიტვის უმაღლესი ლიგა | ნეპტუნასი | ს | 77:91 | 3 | 0 | 0 | 0 |
| ვიქტორ სანიკიძე | ესტუდიანტესი | ევროთასი | ვირტუსი | ნ | 62:80 | 12 | 1 | 4 | 1 |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | სან ფერნანდო | ესპანეთის ჩემპიონატი | ვალიადოლიდი | ს | 83:97 | 17 | 11 | 4 | 0 |
| სერგო ათუაშვილი | ნეპტუნასი | ლიტვის უმაღლესი ლიგა | ნევეჟისი | შ | 91:77 | 7 | 0 | 3 | 0 |
| ლევან შენგელია | აკადემია | ლიტვის I ლიგა | სილუტე | ს | 63:83 | 17 | 2 | 1 | 0 |
| ტაირონ ელისი | ნაპოლი | სერია A | სკაფატი | შ | 95:62 | 28 | 22 | 2 | 1 |
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა | NBA რეგ. ჩემპ. | ბოსტონი<br>ვაშინგტონი<br>კლივლენდი | შ<br>შ<br>ს | 104:96<br>85:98<br>76:110 | 35<br>არ უთამაშია<br>არ უთამაშია | 22 | 12 | 4 |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური




# NBA რეგულარული ჩემპიონატი

15 აპრილი

**გ. სტეიტი 121:108 მინესოტა**

გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (32 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი), ჰარინგტონი (18), დევისი (17)

მინესოტა: დევისი (42), სმიტი (14 ქულა, 12 მოხსნა)

**ლეიკერსი 109:98 სიეტლი**

ლეიკერსი: ბრაიანტი (50), ოდომი (14)

სიეტლი: ლუისი (24), უილკსი (22), უილკოქსი (20 ქულა, 10 მოხსნა), უილკინსი (17)

**კლიპერსი 100:105 საკრამენტო**

კლიპერსი: ბრენდი (29 ქულა, 14 მოხსნა, 7 პასი), მაგეტი (21 ქულა, 10 მოხსნა)

საკრამენტო: გარსია (16), არტესტი (15 ქულა, 10 პასი), ბობი (15)

**დალასი 91:86 სან ანტონიო**

დალასი: ნოვიცკი (21), ჰარისი (21), ჰოვარდი (15), სტეკჰაუსი (14)

სან ანტონიო: პარკერი (23), დანკანი (16), ჯინობილი (16)

**ვაშინგტონი 68:101 ჩიკაგო**

ვაშინგტონი: სტივენსონი (13)

ჩიკაგო: გორდონი (30), დენგი (16)

**ინდიანა 107:111 ნიუ ჯერსი**

ინდიანა: ონილი (20), გრეინჯერი (17), მერფი (17), დანლივი (15)

ნიუ ჯერსი: კარტერი (35), ნახბარი (25), ჯეფერსონი (18), კიდი (12 ქულა, 10 პასი, 8 მოხსნა)

**დეტროიტი 91:102 ფილადელფია**

დეტროიტი: პრინსი (15)

ფილადელფია: გრინი (26), ჰანტერი (16)

**ორლანდო 88:86 ბოსტონი**

ორლანდო: თურქოღლუ (20), ჰილი (16), ნელსონი (16)

ბოსტონი: ჯეფერსონი (28), ვესტი (19), რონდო (16)

**ტორონტო 107:105 ნიუ იორკი**

ტორონტო: ბოში (23), გრემი (19), პარკერი (19), კალდერონი (18)

ნიუ იორკი: კარი (30), ფრენსისი (28), როუზი (18)

# ეგოიზმის თემა ფილ ჯექსონის შემოქმედებაში




**ერთი-ორი** თამაშიც და ეს წინასაპლეიოფო ისტერია ჩაცხრება. დღეისთვის 16 რჩეული გუნდიდან 15 გარკვეულია. აღმოსავლეთში წარმატებულთა რვეული „ორლანდომ“ შეავსო, რომელმაც უდაბურეს ბრძოლაში „ბოსტონს“ აჯობა, თანაც ერთადერთი ფორმალური კონკურენტის, „ინდიანას“ მარცხით ისარგებლა და კონფერენციაში უკანასკნელი შეახტა საპლეიოფო მატარებელს.

დასავლეთშიც მალე გაიხსნება კვანძი, ორშაბათის თამაშებმა კი კიდევ ერთი გუნდი გაიყვანა სამშვიდობოს. ნბა-ს ისტორიაში ყველაზე წარმატებული მწვრთნელის ფილ ჯექსონის „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ ბოლო ხანებში ხომ ისე ვერ იგებს, თუ კობი ბრაიანტმა 50 ქულა არ მოიხვეჭა. ჰოდა, კობიმ „სიეტლთან“ დაბარებულივით ზუსტად 50 გააზერხა და თავის გუნდს საჭირო გამარჯვება მოუტანა. პირადად ბრაიანტს რომ ზღაპრული სეზონი აქვს, მრავალჯერ დაგვიწერია. ის უკვე მეათედ შესწვდა 50-ქულიან თამასას ერთ სეზონში, რაც განსვენებული უილტ ჩემბერლენის გარდა არავის არასდროს არ გაუკეთებია, თვით ჯორდანსაც კი, მაგრამ საქმე ისაა, ბრაიანტის გუნდი რა ხეირს პოულობს ამით. 41 გამარჯვება 40 მარცხის წილ, აი, „ლეიკერსის“ მონაგარი რეგულარული ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი თამაშით ადრე. მთლად შთამბეჭდავი შედეგი ვერაა ქულების ასე იაფად მბოჭავი სუპერვარსკვლავის გუნდისთვის. ეს კი, ბოლოში მის ქართველ ქომაგებთან და, „ამ ჩვენი“ სუპერვარსკვლავის ეგოიზმის ბრალიცაა. მოკლედ, „ლეიკერსი“ და მისი ლიდერი ერთი ბრჭყვიალა მედლის ორი მხარეა — პირადი წარმატების და გუნდური წარუმატებლობის.

„ლეიკერსისგან“ განსხვავებით, არ გაუმართლა მის თანაქალაქელ „კლიპერსს“, რომელიც დასავლეთში მერვე ადგილისთვის „გოლდენ სტეიტს“ ეომება. „კლიპერსი“ სწორედ მისმა მრავალგზის მხსნელმა, ვეტერანმა სემ კასელმა დაალალატა, რომელმაც 19 წუთში ქულაც ვერ ჩააგდო. მის გუნდს კი „საკრამენტოსთან“ სწორედ რამდენიმე ქულა დააკლდა.

1994 წლის შემდეგ უპლეიოფოდ მავალმა „გოლდენ სტეიტმა“ კი „კლიპერსის“ წაბორძიკებით ისარგებლა და მძლავრი ნაბიჯი წადგა წინ — უკევინგარნეტო „მინესოტა“ შემუსრა. დონ ნელსონის შეგირდები ისეთ ფორმაში და სულაზე არიან, ალბათ კევინგარნეტიან „მინესოტასაც“ ამავ დღეს დააწევდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ახლა დაინდეს კიდეც — მესამე მეოთხედის შემდეგ ზუსტად 40 ქულით იგებდნენ და დასკვნითი მეოთხედი 15:42 აჩუქეს, თან თავადაც დაისვენეს, წინ ხომ კიდევ ორი ბრძოლა აქვთ — მძლავრ „დალასთან“ და მოტივაციისგან თავისუფალ „პორტლენდთან“.

**კოტე ყორჩია**

ჭიდაობა

# კლასიკური მინიმუმი: სამი

**დღეს** სოფიაში მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი იწყება. ექვსდღიანი ტურნირის პირველი-მეორე დღე ქალებს დაეთმობათ. მერე კი ორ-ორი დღით ხალიჩაზე ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილის მიმდევარი კაცები შევლენ. ჩვენთვისაც ტურნირი საინტერესო ზეგიდან გახდება.

ქართველი კლასიკოსები უკვე ბულგარეთში არიან. ბეგი დარჩიას გუნდმა დასკვნითი ბორჯომული შეკრება გუშინ დაასრულა. თბილისში ჩამოსულებმა კი უმალ ვაკის ფალავანთა კლუბის დარბაზს მიაშურეს და ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტ კახა გეწაძისგან სპორტული ფორმებით დასაჩუქრდნენ.

„საჭიდაო ფორმა, სპორტულები და ბოტასები ჩვენი სპონსორის, „სახალხო ბანკის" დახმარებით გერმანიაში შევიძინეთ — თქვა კახა გეწაძემ — სულ რამდენიმე საათის წინ განვაბაჟეთ და წასვლამდე მათზე საქართველოს მიწერასაც მოვასწრებთ. ასე რომ, სოფიაში ჩვენი გუნდი ლამაზად შემოსილი ჩავა, რაც აქამდე ვერაფრით ვერ ხერხდებოდა. იმედია, შედეგიც უკეთესი იქნება, ვიდრე წინა ჩემპიონატებზე. თუ მძიმე წონაში შექმნილ პრობლემას არ ვახსენებთ, ნაკრები მშვენიერადაა მომზადებული და ოქროს მედლებისთვის ბრძოლაც რეალურად შეგვიძლია."

მძიმეწონოსანი რევაზ ჭელიძე რომ სოფიაში მხოლოდ მაყურებლად ჩავა გუშინდელ „სარბიელშიც" გამცნეთ. ნაოპერაციევი მუხლი ბოლომდე ჯერაც არ მოუშუშებია, რის გამოც ბულგარეთში მის შემცვლელს უნდა ეჭიდავა, მაგრამ ტრავმიანობა მთელ წონას შეეყარა და ბოლოს შეიდეულში ისევ ჭელიძე შეიყვანეს, კონკურენტებს მაინც დააკვირდებაო.

დანარჩენი წონები კი ისეა დაკომპლექტებული, დარჩიას გუნდს გუნდურ ჩემპიონობაზე ფიქრი მაინც რეალურად შეეძლება. ირაკლი ჭოჭუას (55 კგ), დავით ბედინაძეს (60 კგ), მანუჩარ კვირკველიას (74 კგ), ბადრი ხასაიასა (84 კგ) და რამაზ ნოზაძეს (96 კგ) არც გამოცდილება დაეწუნებათ და დიდ ტურნირებზეც ბლომად მედლები მოუხვეჭიათ. მუხრან მაჭუტაძე (66 კგ) ამათთან შედარებით გამოუცდელია, თუმც თავის წონაში საქართველოში დღეისთვის საუკეთესოა და წესით, უცხოეთშიც უნდა მოახერხოს თავისი სიტყვის თქმა. როგორც მთავარი მწვრთნელი ამბობს, ბიჭები ოპტიმალურ ფორმასთან ახლოს არიან და ობიექტური მსაჯობის შემთხვევაში სულ ცოტა, სამ მედალს მოიპოვებენ.

**ოთარ გაღლაძელიძე**

მძლეოსნობა

# მუბარაქიანი


მუბარაქ ჰასან შამი

**პარიზი.** კოხტა ქუჩები. მზე, სითბო, ჟრიამული. გზებზე გამოფენილი 200 ათასი ადამიანი და ამ ცოცხალ ორღობეში ალივლივებული 35 ათასიანი ჭრელი ტალღა.

სამძლეოსნო სამყაროში პარიზის მარათონი ნამდვილი მოვლენაა. თავად სამყაროს ჭიპს და მის მკვიდრთ, ასე გგონია, სირბილით ვერ გააკვირვებ. მას შემდეგ, რაც გალთა მიწებზე შეჭრილმა ხმლებალესილმა რომაელმა აგრიკოლებმა დღევანდელი პარიზის მიწაზე ბანაკი დასცეს, მას აქეთ ამ ქალაქში მუდამ რაღაც დიდი ხდება.

მაგრამ ყველაფერს თავისი ადგილი აქვს და რევოლუციებით და მთავრობათა ჩამოგდებებით დაღლილი პარიზელები ისეთ მარათონს აწყობენ, მთელ მსოფლიოში ერთი ორი ქალაქი თუ დაიკვეხნის. შედეგებიც გვარიანი აქვთ. კვირის რბენაც ლამაზი და საზეიმო გამოვიდა. 42 კილომეტრის 2 საათში, 7 წუთსა და 19 წამში გამრბენმა, ყატარელმა მუბარაქ ჰასან შამიმაც ყველა დროის ვერა, მაგრამ სეზონის საუკეთესო შედეგი კი აჩვენა. რეკორდამდე ბევრი დააკლდა, თითქმის ორნახევარი წუთი, მაგრამ რბენას კარგა ხანი მიჰყვა ინტრიგა.

პეპლებმა ანუ ვარსკვლავთა წინ მორბენალმა ხალხმა თავიდანვე ძალიან სწრაფი ტემპი აიღო და ფავორიტებმაც იძულებით აუჩქარეს ფეხს. მუბარაქ შამი, ეთიოპიელი ასალე ლაფა, ესპანელი ხულიო რეი და კენიელი ელიას კემბოი კარგა ხანის მხარდამხარ მირბოდნენ, მაგრამ ყველას როდი გაჰყვა ჯანი თუნდაც შუა გზამდე. გზის ნახევარი ძალიან სწრაფად გაილია — 21 კილომეტრს მოწინავე ჯგუფმა საათი და ორი წუთი ამყოფინა, რაც რამდენიმე წამით სწრაფი შედეგი იყო პოლ ტერგატის სამი წლის წინანდელი მსოფლიო რეკორდის გრაფიკზე. მაგრამ ამ გრაფიკს ასე თუ ისე მხოლოდ ყატარელმა გაუძლო და ისიც, როგორც მოგახსენეთ, ორ წუთზე მეტით ჩამორჩა ტერგატის დროს. 25 კილომეტრის შემდეგ შამი სულ მარტო მირბოდა და საბოლოოდ 2 წუთით და 34 წამით ადრე შეწყვიტა საფინიშო ლენტი, ვიდრე უახლოესმა მდევარმა, ეთიოპიელმა გაშოუ მალესემ.

მაღალი შედეგი დაფიქსირდა ქალებშიც — ეთიოპიელმა მაგარსა ტაფამ დისტანცია 2 საათში, 25 წუთსა და 7 წამში დაფარა.

**კოტე ყორშია**

ჩოგბურთი

## ფედერაციის თასი. ევრო-აფრიკული ზონის მეორე ჯგუფი
## ანთალია, თურქეთი. 17–22 აპრილი

# მაკა და ახლები


საქართველოს ნაკრების ლიდერი მაკა ჩახნაშვილი

**ეს კვირა** ქალთა ჩოგბურთში ფედერაციის თასისაა და სხვებთან ერთად, საქმეში საქართველოს ნაკრებიც ჩაერთვება, რომელიც ამ წუთისთვის საფედთასო კიბის საკმაოდ ქვედა საფეხურზე, ევრო-აფრიკული ზონის მეორე ჯგუფში იმყოფება.

ჩვენები კაპიტნის, ლალი ზერეკიძის ხელმძღვანელობით თამაშს, უკვე დღეს იწყებენ. ევრო-აფრიკული ზონის მეორე ჯგუფში მყოფი რვა ნაკრები თურქულ ანთალიაში იმ ორი საუკეთესოს ვინაობას გამოავლენს, საგაისოდ ზონის პირველ ჯგუფში რომ ამაღლდება. უფრო სწორად, რვა უნდა ყოფილიყო, მაგრამ თურქეთის ხმელთაშუაზღვისპირა მარგალიტ-ქალაქში მხოლოდ შვიდი ქვეყნის ჩოგბურთელები ჩავიდნენ — ალჟირელმა ქალებმა მიზეზთა და მიზეზთა გამო თამაში იუარეს და ტურნირიც ყოველგვარი აფრიკულის გარეშე, წმინდად ევროპული იქნება.

ალჟირელთა უარის გამო ანთალიაში წილისყრამ ჯგუფები არათანაბრად დაყო: პირველ ჯგუფში მხოლოდ სამი გუნდი — ფინეთი, საბერძნეთი და სამხრეთ აფრიკა მოხვდა, ხოლო მეორე ჯგუფში საქართველოსთან ერთად ბოსნია, ნორვეგია და პორტუგალია არიან.

რეგლამენტი მარტივია: ჯგუფებში თამაშები წრიული სისტემით გაიმართება, ორ-ორი საუკეთესო ნახევარფინალში გავა, სადაც ჯგუფებში პირველები მეორეებს შეხვდებიან და გამარჯვებულები ზონის პირველ ჯგუფში გადავლენ.

ლალი ზერეკიძეს საუკეთესო შემადგენლობა ჰყავსო, ნამდვილად ვერ ვიტყვით. ანთალიაში არ არიან ამ წუთისთვის საქართველოს მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე ნომრები — სოფო მელიქიშვილი, ანა ტატიშვილი, სალომე დევიძე და სოფო შაფათავა. მათ მაგივრად ნაკრების ლიდერს, მაკა ჩახნაშვილს გვერდით საფედთასო გამოცდილების არმქონენი, ეკა გორგოძე, ოქსანა კალაშნიკოვა და სოფო ქვაცაბაია დაუდგებიან.

ქართველების პირველი მეტოქე პორტუგალიაა, შემდეგ ჩვენები ბოსნიელებს ეთამაშებიან და ჯგუფურ ტურნირს ნორვეგიელებთან დაპირისპირებით დაასრულებენ.

საქართველოს ნაკრები ფედერაციის თასზე 1994 წლიდან თამაშობს. ამ ხნის მანძილზე ჩვენებმა 46 მატჩი ჩაატარეს, რომელთაგან 23 მოიგეს და ამდენივე წააგეს. ნაკრების რეკორდსმენი, როგორც ჩატარებული, ისე მოგებული მატჩების ოდენობით, ჯამურადაც და ერთეულთა შორისაც, მაკა ჩახნაშვილია. მას 44 შეხვედრიდან 25 აქვს მოგებული, ხოლო ერთეულთა 27 თამაშიდან 17 თავის სასარგებლოდ დაასრულა.

წყვილებში რეკორდსმენი სალომე დევიძეა — 14 შეხვედრაში 9 მოგება. საუკეთესო წყვილი დევიძისა და ნინო ესებუას ტანდემია. მათ ოთხიდან ოთხივე თამაში მოიგეს.

**ოთარ მხეიძე**

## საქართველო და მისი მეტოქეები

### საქართველო

ფედერაციის თასზე თამაშობს 1994 წლიდან.
23 მოგება, 23 წაგება

**შემადგენლობა**

მაკა ჩახნაშვილი: 24 წლის, რეიტინგის 145-ე ნომერი, ფედერაციის თასზე 25 მოგება და 19 წაგება

ეკა გორგოძე: 15 წლის, რეიტინგის 768-ე ნომერი, ფედერაციის თასზე არ უთამაშია

ოქსანა კალაშნიკოვა: 16 წლის, რეიტინგის 918-ე ნომერი, ფედერაციის თასზე არ უთამაშია

სოფო ქვაცაბაია: 18 წლის, რეიტინგის 1186-ე ნომერი, ფედერაციის თასზე არ უთამაშია.

*კაპიტანი:* ლალი ზერეკიძე

### პორტუგალია

ფედერაციის თასზე თამაშობს 1968 წლიდან.
30 მოგება, 38 წაგება

**შემადგენლობა**

ფრედერიკა პიედადე: 24 წლის, რეიტინგის 280-ე ნომერი, ფედერაციის თასზე 8 მოგება და 2 წაგება

ნეუზა სილვა: 23 წლის, რეიტინგის 340-ე ნომერი, ფედერაციის თასზე 8 მოგება და 3 წაგება.

მაგალი დე ლატრე: 19 წლის, რეიტინგის 518-ე ნომერი, ფედერაციის თასზე 2 მოგება და 4 წაგება.

ანა-კატარინა ნოგუეირა: 29 წლის, რეიტინგის 817-ე ნომერი, ფედერაციის თასზე 21 მოგება და 20 წაგება.

*კაპიტანი:* პაულო ლუკაში

### ბოსნია

ფედერაციის თასზე თამაშობს 1997 წლიდან.
26 მოგება, 15 წაგება

**შემადგენლობა**

მარვინა იუჯიჩ-სალკიჩი: 26 წლის, რეიტინგის 258-ე ნომერი, ფედერაციის თასზე 21 მოგება და 13 წაგება.

სანდრა მარტინოვიჩი: 27 წლის, რეიტინგის 305-ე ნომერი, ფედერაციის თასზე 4 მოგება და 4 წაგება.

დიანა სტოუიჩი: 18 წლის, რეიტინგის 728-ე ნომერი, ფედერაციის თასზე 8 მოგება და 1 წაგება.

ნადინა სეკერეგოვიჩი: 17 წლის, რეიტინგში არ არის, ფედერაციის თასზე 7 მოგება და 1 წაგება.

*კაპიტანი:* სანია კოვაჩი

### ნორვეგია

ფედერაციის თასზე თამაშობს 1963 წლიდან.
35 მოგება, 57 წაგება

**შემადგენლობა**

კაროლინა სტეირო: 18 წლის, რეიტინგის 719-ე ნომერი, ფედერაციის თასზე 1 მოგება და 2 წაგება.

ილუნ ჰერტზბერგი: 19 წლის, რეიტინგის 947-ე ნომერი, ფედერაციის თასზე 1 მოგება და 4 წაგება;

ჰელენა ალენსენი: ინფორმაცია არ არის;

ემა ფლოიდი: ინფორმაცია არ არის.

*კაპიტანი:* კრისტიან რუუდი

# ჰეინსმა ქართული დერბი ჩაშალა

ამ კვირაში დევისის თასის ქალთა ანალოგის, ფედერაციის თასის მატჩებია და ტურნირთა სიმწირეც ამის გამო იგრძნობა. WTA-ს ეგიდით შეჯიბრებები საერთოდ არ ტარდება და ITF-ის ეგიდითაც მხოლოდ რამდენიმე ტურნირი იმართება.

ერთ-ერთი ასეთი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ალაბამას შტატის ქალაქ დოთენის თიხაზე ტარდება. საპრიზო ფონდი 75 ათასია და შეჯიბრში მონაწილეობის მიღებაზე განაცხადი სამმა ჩვენებურმა — ანა ტატიშვილმა, სოფო მელიქიშვილმა და სალომე დევიძემ შეიტანა.

ტურნირის საკმაოდ მაღალი რეიტინგის გამო დევიძე საკვალიფიკაციო ეტაპზეც კი ვერ მოხვდა, ხოლო ტატიშვილი და მელიქიშვილი კვალიფიკანტთა ბადეში გვერდიგვერდ განთესეს — პირველ წრეში წარმატების შემთხვევაში, მეორეში ქართველები ერთმანეთს შეხვდებოდნენ.

სამწუხაროდ, ასე არ მოხდა — მელიქიშვილი ორ სეტში 5:7 1:6 დამარცხდა 22 წლისა და რეიტინგში 207-ე ადგილზე მყოფ ამერიკელ ანჯელა ჰეინსთან და ახლა, მეორე წრეში, სწორედ ამ ჰეინსს შეხვდება ტატიშვილი, რომელმაც იოლად — 6:1 6:0 დაჯაბნა 23 წლისა და კლასიფიკაციაში 385-ე ადგილზე მყოფი ავსტრალიელი ნიკოლ კრიზი.

# სარეიტინგო ადი-ჩადი



მარიამ ქურდაძე

**ორშაბათს** ტრადიციულად ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგები გამოქვეყნდა და სამწუხაროდ, ქალთა კლასიფიკაციაში მყოფმა ორმა ჩვენებურმა მნიშვნელოვნად უკან დაიხია.

შარშან ამ დროს ნორჩი ანა ტატიშვილი ჩარლსტონის დიდი ტურნირის ძირითად ბადეში ორგანიზატორთა მიწვევით მოხვდა და ანამ ერთი წრე გაიარა კიდეც. წელს ტატიშვილს „ვაილდ ქარდი" აღარ მისცეს და ჩვენებურმა ბლომად სარეიტინგო ქულები დაკარგა, რის გამოც კლასიფიკაციაში ერთბაშად 85 პოზიცია დაკარგა. ანა ახლა 44,75 ქულით 405-ე ადგილზეა.

46 ნაბიჯით უკან დაიხია და 46 სარეიტინგო ქულით 395-ე ადგილზე დაქვეითდა სოფო მელიქიშვილი. რაც შეეხება ქართველ ქალთა პირველ ნომერს, მაკა ჩახნაშვილი 209 ქულით კვლავაც 145-ე ადგილზეა.

აი, რეიტინგში მოხსენიებულმა სხვა ქართველმა ქალებმა კი მცირედით, მაგრამ წინ წაიწიეს. სალომე დევიძე (+2) 26,25 ქულით 533-ე ადგილზეა, სოფო შაფათავა (+2) 15,25 ქულით 692-ე პოზიციაზე იმყოფება, ეკა გორგოძე (+5) 12 ქულით 768-ე საფეხურზეა, მანანა შაფაქიძე (+4) 10,25 ქულით 814-ეზე ავიდა, ოქსანა კალაშნიკოვა (+3) 7,5 ქულით 918-ეა, თეონა ცერცვაძე (+6) 5,25 ქულით 1071-ე პოზიციაზე იმყოფება, სოფო ქვაცაბაია (+7) 4 ქულით 1186-ეა, ხოლო მარიამ ქურდაძე (+9) 2,75 ქულით 1322-ე ადგილზეა.

რაც შეეხება კაცთა რეიტინგს, იქ კვლავაც ორი ჩვენიანია. ირაკლი ლაბაძემ კიდევ სამი პოზიცია დათმო და 236 ქულით 176-ე ადგილზე ჩამოქვეითდა, ხოლო ლადო ჩიხლაძემ, ვისაც 59 ქულა აქვს, პირიქით, ერთით მაღლა, 477-ე საფეხურზე აინაცვლა.

## კაცები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 7290 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 4875 |
| 3. ენდი როდიკი (აშშ) | 2980 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2825 |
| 5. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 2755 |
| 6. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 2645 |
| 7. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 2540 |
| 8. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 2270 |
| 9. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2150 |
| 10. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 2125 |
| 11. ტომი ჰაასი (ბრიტანეთი) | 2100 |
| 12. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1805 |
| 13. მარიო ანჩიჩი (ხორვატია) | 1775 |
| 14. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1715 |
| 15. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1620 |
| 16. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 1615 |
| 17. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 1545 |
| 18. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 1315 |
| 19. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 1250 |
| 20. იარკო ნიემინენი (ფინეთი) | 1250 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 276 |
| 2. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 272 |
| 3. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 212 |
| 4. ენდი როდიკი (აშშ) | 210 |
| 5. ტომი ჰაასი (გერმანია) | 209 |
| 6. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 205 |
| 7. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 180 |
| 8. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 170 |
| 9. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 152 |
| 10. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 146 |
| 11. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 124 |
| 12-13. გილერმო კანასი (არგენტინა) | 120 |
| 12-13. დავით ფერერი (ესპანეთი) | 120 |
| 14. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 119 |
| 15. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 112 |
| 16. მარდი ფიში (აშშ) | 99 |
| 17. კარლოს მოია (ესპანეთი) | 95 |
| 18. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 92 |
| 19. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 85 |
| 20. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) | 82 |

## ქალები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 3859 |
| 2. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3388 |
| 3. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2776 |
| 4. კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 2699 |
| 5. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2667 |
| 6. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 2294 |
| 7. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 2257 |
| 8. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1957 |
| 9. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1869 |
| 10. დინარა საფინა (რუსეთი) | 1863 |
| 11. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1847 |
| 12. სერენა უილიამსი (აშშ) | 1770 |
| 13. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1635 |
| 14. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1616 |
| 15. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 1525 |
| 16. შაჰარ პირი (ისრაელი) | 1508 |
| 17. ნა ლი (ჩინეთი) | 1432 |
| 18. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1390 |
| 19. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1337 |
| 20. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 1253 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 1531 |
| 2. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 1430 |
| 3. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 1050 |
| 4. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1036 |
| 5. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 1030 |
| 6. კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 985 |
| 7. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 937 |
| 8. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 936 |
| 9. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 865 |
| 10-11. დინარა საფინა (რუსეთი) | 851 |
| 10-11. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 851 |
| 12. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 850 |
| 13. შაჰარ პირი (ისრაელი) | 827 |
| 14. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 825 |
| 15-16. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 816 |
| 15-16. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 816 |
| 17. ნა ლი (ჩინეთი) | 742 |
| 18. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 637 |
| 19. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 600 |
| 20. ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი) | 540 |



AFP

ელენა იანკოვიჩი

# სერბულ-ხორვატიული ამერიკა

**კაცები**
ჰიუსტონი. აშშ. თიხნარი.
საპრიზო 416 000 $

**ფინალი**

**ივო კარლოვიჩი** (სერბეთი) — **მარიანო ზაბალეტა** (არგენტინა) 6:4 6:1

სპორტში პარადოქსები ხშირია და გუშინ გამთენიისას ივო კარლოვიჩის მიერ ჰიუსტონის ტურნირის მოგებაც ამ კატეგორიაში გადის. აყლაყუდა ხორვატის გამარჯვებაში საოცარი არა თვით მოგების ფაქტი, არამედ ამ ტრიუმფის გარემოებაა — მოკლედ, პარადოქსი ის იყო, რომ კარლოვიჩმა თიხნარზე იმარჯვა. ხოლო ჩოგბურთელისთვის, რომელიც თავისი მძლავრი მოწოდებით, ბადესთან კარგი თამაშითა და უკანა ხაზზე სუსელური გამოხდომებით არის ცნობილი, ეს მართლაც გასაოცარი მიღწევაა. თიხნარზე მთავარი სწორედ უკანა ხაზზე თამაშია, ხოლო საფარი ყველაზე ნელია, რის გამოც აქ ეისები საკმაოდ იშვიათი მოვლენაა. ამის მიუხედავად, კარლოვიჩმა გასული კვირის განმავლობაში 53 ეისი ჩაავდო და სათამაშო სტილით, რომელიც ბალახისთვის არის ზედგამოჭრილი და ჰარდზეც წარმატებით გამოიყენება, ავერ თიხნარზე იხეირა.

მოკლედ, ისე გამოვიდა, რომ კარლოვიჩმა თავისი პირველი საკარიერო ტიტული სწორედ თიხაზე მოიგო, რაც თავად ხორვატისთვისაც დიდი მოულოდნელობა აღმოჩნდა.

„საოცარია, ჩემი პირველი ტიტული გრუნტზე მოვიგე. ამას ვერასდროს წარმოვიდგენდი, მაგრამ მაინც ფანტასტიკური შეგრძნებაა" — გახარებულზე მეტად გაკვირვებული იყო ორმეტრიანი ივო.

**კაცები**
ვალენსია. ესპანეთი. თიხნარი.
საპრიზო 391 000 $

**ფინალი**

**ნიკოლას ალმაგრო** (3, ესპანეთი) — **პოტიტო სტარაჩე** (იტალია) 4:6 6:2 6:1

ნიკოლას ალმაგრომ ტიტული დაიცვა — 21 წლის ესპანელს ვალენსიის კორტებზე წელსაც ვერავინ გაუმკლავდა. პირინეელმა ფინალში იტალიელ პოტიტო სტარაჩეს მოუგო, თუმც თავიდან საკმაოდ სუსტად დაიწყო და პირველი სეტი დათმო. შემდეგ ალმაგრო შეუჩერებელი იყო და თავისი მძლავრი თამაშით ყველაფერი თავის ადგილას დააყენა — აპენინელს მომდევნო ორ პარტიაში მხოლოდ სამი გეიმი აალებინა.

ალმაგროსთვის ეს გამარჯვება იმიტომაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ესპანეთის ტახტის მემკვიდრის თვალწინ უწევდა თამაში — ტრიბუნაზე ხომ თავად კრონ-პრინცი ფელიპე იმყოფებოდა.

**ქალები**
ჩარლსტონი. აშშ. თიხნარი.
საპრიზო 1 340 000 $

**ფინალი**

**ელენა იანკოვიჩი** (2, სერბეთი) — **დინარა საფინა** (4, რუსეთი) 6:2 6:2

ზუსტად ერთი წლის წინ ჩარლსტონში ელენა იანკოვიჩს რთული დრო ედგა — ზედიზედ ათი მატჩი ჰქონდა წაგებული, რეიტინგში სულ უფრო დაბლა მიექანებოდა და ლამის ჩოგბურთიდან წასვლაზეც ფიქრობდა.

ახლა კი სერბის ცხოვრებაში ყველაფერი დალაგებულია — ამ ერთი წლის განმავლობაში იანკოვიჩმა ძალიან მოუმატა, რაც მთავარია, სტაბილურად ათამაშდა, საუკეთესო ათეულშიც შევიდა და თანამედროვე ქალთა ჩოგბურთში ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალად იქცა. ელენას მომავალი მიზნები უკვე არა მომდევნო მატჩის კარგად ჩატარება, არამედ ყოველი მომდევნო ტურნირის მოგებაა.

იანკოვიჩმა ჩარლსტონში კარიერაში მესამე და ჯერჯერობით ყველაზე დიდი ტურნირი მოიგო, როცა 70 წუთში უადვილესად გაუმკლავდა დინარა საფინას. თუმც ფინალში სერბი ისეთი მოტივაციით გავიდა, რომ მისგან რუსის განადგურება დიდად გასაკვირი ნამდვილად არ არის — ნახევრაფინალში ბალკანელმა იმდენად დაძაბულ ჯახში მოუგო ვინუს უილიამსს, რომ უბრალოდ, უფლება არ ჰქონდა, ამერიკელთან ნაწვალები წყალში ჩაეყარა. ალბათ, სწორედ ამით უნდა ავხსნათ იანკოვიჩის ასეთი დიდებული თამაში, რომლის წინააღმდეგაც არცთუ სუსტი საფინა პატარა ბავშვივით გამოიყურებოდა.

**კახა ლომაშვილი**

# ფრაკი თუ ჩოხა?
## ქართველი ფრანგებთან ქართველი იქნება



„სარბიელის" მკითხველისთვის ნაცნობი მხედარი ზურაბ ჭინჭარაძე სააღდგომოდ შეგვეხმიანა საფრანგეთიდან. — დიდი მადლობა „სარბიელის" რედაქციას, რომ თავის მკითხველს გააცნო ყოფილი ქართველი იუნკრის ივანე ვაჩნაძის დამსახურება უდიდესი მხედრული ცენტრის — სომიურის სკოლისა და, საერთოდ, საფრანგეთის საცხენოსნო სპორტის წინაშე — გვითხრა ზურაბმა და მერე უკვე მისი დღევანდელი ამბებით დავინტერესდით

— რა ეტაპზეა ახლა სკოლაში თქვენი კურსის სწავლება — როგორც თეორიული, ისე წმინდა სპორტული თვალსაზრისით?

— უკვე შედეგების შემოწმების დროც წამოგვპარვია. აქ ასე ყოფილა: რასაც გასწავლიან, უმკაცრესად გთხოვენ კიდეც იმის ცოდნას. აი, ხომ დავდიოდით პონიკლუბებში; ბავშვებს ვავარჯიშებდით, ჩვენი მწვრთნელებიც თავზე გვადგნენ, მერე ყოველ გაკვეთილს ვარჩევდით კიდეც. მაგრამ, არა, ეს როდი კმარა! წერილობითად უნდა წარმოადგინო შენი მიდგომა, საკუთარი აზრები. მოკლედ — მთელი პროგრამა. ცარიელა ლაპარაკი აქ არ უყვართ!

— ერთი რამ დამიზუსტეთ: იმ პონიკლუბებში რა ასაკის ბავშვები დადიან?

— 4-დან 14 წლამდე.

— მხოლოდ „ნამდვილი" პონის ჯიშის, ეგრეთ წოდებული „ჯუჯა" (110 სმ-მდე სიმაღლის) ცხენები ჰყავთ?

— ასეთები მხოლოდ უმცროსებისთვის არიან. სპორტული კვალიფიკაციით პონებად სახელდებული ნორმალური ტანმორჩილი ცხენებიცა ჰყავთ 130-140 სანტიმეტრის სიმაღლისა. აი, ჩვენი აბორიგენული თუშური და მეგრული ცხენები რომ არიან, დაახლოებით ისეთი. უფროსი ბავშვებისთვის კი სრულფასოვან, ნახევრად წმინდა სისხლის სპორტულ ბედაურებს ინახავენ — კლასიკური ცხენოსნობის სამივე სახეობისთვის.

— მერე არ გაგიჭირდა ასეთი მოცულობის სასწავლო გეგმის წარმოსახვა?

— უნდა გაიჭირვო, თუ აქ ყოფნა და ლიცენზიის აღება გინდა. უშუალოდ პირადი გამოცდილებით, დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიური ნაშრომების ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით, ყმაწვილის ურთიერთობა ცხენთან ოთხ ეტაპად დავყავი. პირველი — გარე სამყაროს აღქმაში ცხენის ჩართვა, მისი დანახვა და შეგრძნებაა. მეორე ეტაპი უკვე უშუალო სიახლოვეა; ზოგადად ცხოველის კი არა, აი, სწორედ ამ ოთხფეხისადმი სიყვარულის ჩასახვა და გაღვივებაა, თუნდაც ქვეცნობიერ დონეზე მასთან მომავალი ურთიერთობის წარმოდგენაა. მესამე ეტაპი უკვე ამ ოცნების განხორციელებაა. როგორ, ვისი მეშვეობით — ეს უკვე სხვა თემაა; მე სოციოლოგიურ კვლევას არ ვატარებ. ისე, საყმაწვილო სპორტის ინტერესებში, ცხადია, ეს მომენტიც შედის.

ეს საკვანძო ეტაპია მოზარდის როგორც მომავალი მხედრული, ისე საერთო ადამიანური ხასიათის ჩამოყალიბებისთვის. აქ უნდა იგრძნოს მან, შეიძლება პირველადაც და უმაღლესი ემოციური მუხტით, სხვა სულიერზე ზრუნვის, მის მიმართ მოვალეობის აუცილებლობა და მოთხოვნილება. მეოთხე ეტაპი ეს უკვე განსწავლის ხანაა და ამისათვის ჩემი ქვეყნის, აგრეთვე, საკუთრივ სომიურის სინამდვილე და გამოცდილება გამოვიყენე.

— წაიკითხეს, განიხილეს?.. და რა გითხრეს?

— ამ კითხვაზე დუმილის უფლებას გამოვიყენებ. მაგრამ ერთ, ალბათ, საგულისხმო შენიშვნას კი გაგაცნობთ: თქვენს ნაფიქრალს მეტი რეზონანსი ექნებოდა, ეს ყველაფერი ინგლისურად კი არა, ფრანგულად რომ დაგეწერათო. ასე რომ, ამაზეც იზრუნეთ, სამომავლოდ მაინცო.

— თეორია ჩაგიბარებია, სპორტული გამოცდები როგორღა იქნება?

— ასე არაა. ადრინდელ საუბარში ვთქვი, ჯგუფში ყველანი გამოვედით მოხსენებით საკუთარი ქვეყნის ცხენოსნობის შესახებ-მეთქი. მაშინ ჩვენს ეროვნულ, ქართულ მხედრულ ტრადიციებზე, ხალხურ სახეობებზე ვილაპარაკე. მაგრამ მარტო ლაილაი ამ თემაზეც არავის უნდა. ზაფხულისთვის ესეც დაწერილი უნდა წარვუდგინო.

მცოდნოდა, ამ თემაზე შინ მაქვს თავმოყრილი ლიტერატურა. არა უშავს, მეხსიერებითა და უცხოური წყაროებით შევეცდები საფუძვლიანად მიმოვიხილო ჩვენი ცხენოსნობის შორეული თუ ახლო წარსული. ქსენოფონტის, ტაციტუსის, დიონ კასიუსის, ქრისტოფორო კასტელისა და სხვათა მონათხრობის გვერდით ფრანგებს თავიანთივე თანამემამულის, კაპიტან ჟაკ მარჟერიოტის, მარჟერეს, მემუარებსაც გავახსენებ. XVI-XVII საუკუნეების ეს პროფესიონალი ოფიცერი, ავანტიურისტი და მოგზაური რუსეთის ისტორიაში კარგად ცნობილი ორივე ცრუდიმიტრის არმიებშიც მსახურობდა; და იგი დიდი ქებით მოიხსენიებს ქართულ საბრძოლო ბედაურებსაც და ცხენოსან ლაშქარსაც. ეს წიგნი, ალბათ, თანამედროვე ფრანგულად გამოცემული, აუცილებლად იქნება სომიურის სკოლის ბიბლიოთეკაში.

— იმავე კითხვას ვუბრუნდები: უშუალოდ ასპარეზზე როგორ გამოიცდებით-მეთქი.

— სამივე სახეობაში ჩატარდება ასპარეზობა. ერთი ჩემი ცხენი რას აუვა „ლენტეხით" კონკურში გამოვალ. სამჭიდსა და გაწვრთნილობაში სკოლის ცხენები გამომიყვეს. თქვენ წარმოიდგინეთ, ნება დამრთეს, რომ გაწვრთნილობის შეჯიბრზე ფრაკის ნაცვლად ეროვნული სამოსით — ჩოხით გამოვიდე. ეს იდეა თბილისშიც მქონდა. კარგი შავი ჩოხაცა მაქვს, მაგრამ მხოლოდ ვეძისობის დღეებზე და „კავკასიის თასის" გახსნა-დახურვის ალლუმებზე თუ ჩამიცვამს. არადა, ცხენიც შავი მეყოლება!

და ერთიც — მოგეხსენებათ, გაწვრთნილობის — იმავე ცხენოსნობის უმაღლესი სკოლის — ასპარეზობის პროგრამაში ჩართულია მხედრის გამოსვლა მუსიკის თანხლებით. ადრე საჩვენებელი იყო, ახლა საერთო ჩათვლაშიც შედის.

აი, ამ გამოსვლისთვის მინდა ჩვენი ქართული ჰანგები გამოვიყენო.

— სახელდობრ?

— მაქვს ცნობილი ანსამბლის „ერისიონის" მუსიკალური დისკი. რომელიმე საცეკვაოს შევარჩევ. ისე კარგა ხანია, ვოცნებობ ფალიაშვილის „დაისის" დახვეწილ და დინამიკურ ქართულს ავაყოლო ბედაურის საპროგრამო მოძრაობები. ძნელია, მაგრამ ჩვენს მივიწყებულ ცხენოსნობას რაღაცით ხომ შეწევა?..

**ნოდარ ეგრალიძე**





## პლეი ოფი. პირველი წრე

### აღმოსავლეთი

### ოტავა 2:1 პიტსბურგი

მესამე მატჩი

პიტსბურგი 2:4 ოტავა

*1:1 0:3 1:0*

1:0 რობერტსი (1, კროსბი, არმსტრონგი), 1:1 მაკამონდი (19, პრეისინგი, ივზი), 1:2 კომრი (23, ფიშერი, კორვო), 1:3 ალფრედსონი (28, უმრ. რედენი, ჰიტლი), 1:4 ალფრედსონი (38, მაკამონდი, ემერი), 2:4 კროსბი (55, მალკინი, რეკი)

### დასავლეთი

### დეტროიტი 2:0 კალგარი

მეორე მატჩი

დეტროიტი 3:1 კალგარი

*2:0 0:1 1:0*

1:0 დაციუკი (2, უასისტენტოდ), 2:0 ლიდსტრომი (4, უმრ. შნაიდერი), 2:1 ფანეფი (23, უმრ. ჰუსელიუსი, პამრლიკი), 3:1 ფილპულა (47, ფრენცენი, ჰუდლერი)

### ანაჰაიმი 3:0 მინესოტა

მესამე მატჩი

მინესოტა 1:2 ანაჰაიმი

*0:1 0:0 1:1*

0:1 მაკდონალდი (17, უმრ. პრონგერი), 0:2 რ. ნიდერმაიერი (50, პრონგერი), 1:2 ნუმინენი (60, უმრ. ბუშარი)

### ვანკუვერი 2:1 დალასი

მესამე მატჩი

დალასი 1:2 ვანკუვერი

*0:0 1:0 0:1 0:1 (ოვერტაიმი)*

1:0 ბარნსი (34, უმრ. რობიდასი, ბუშე), 1:1 ბულისი (46, ჰანსენი, მორისონი), 1:2 პიატი (68, სმოლინსკი, ლინდენი)

# ერთი კროსბი ჰოკეიშიც ბრალია



AFP პიტსბურგიდან

ოტაველთა კაპიტანმა დანიელ ალფრედსონმა პიტსბურგში ორი გოლი გაიტანა

**ჩრდილოამერიკელ** სპეციალისტთა უმრავლესობის პროგნოზების საწინააღმდეგოდ, „დეტროიტი" ჯერჯერობით უადვილესად უმკლავდება „კალგარის", „წითელფრთიანებმა" კიდევ ერთხელ უშანსოდ დატოვეს კანადური გუნდი და ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვეს.

„დეტროიტი" მეტოქეს სათამაშო კლასით რომ სჯობს, ამ სერიის დაწყებამდეც იყო ცნობილი, მაგრამ უმეტესობა ვარაუდობდა, რომ „კალგარი" ხისტი თამაშით მოსპობდა კლასში განსხვავებას და თავის ჰოკეის მოახვევდა თავს დასავლეთ კონფერენციის გამარჯვებულებს. თუმც საწყის ორ შეხვედრაში „წითელფრთიანებმა" ყველას დაუმტკიცეს, რომ მძლავრ და კონტაქტურ თამაშს თავისუფლად უთავსებენ ჩვეულ ტექნიურ სტილს და ამიტომ ამ პლეი ოფისთვის გაცილებით უკეთესად არიან მომზადებულნი.

სამაგიეროდ, ამის შანსი თითქმის მოუსპო „მინესოტას", რომელსაც არც საკუთარი ყინული გამოადგა და არც 20 000 გულშემატკივრის გიჟური მხარდაჭერა. „ანაჰაიმმა" ისევ მაქსიმალურად ჩახურა თამაში და ზესწრაფ „ველურებს" წესიერად განძრევის საშუალება არ მისცა — ხოლო სამუელ პალსონ-რობ ნიდერმაიერ-ტრევის მოენის სამეულმა კი ისევ პირწმინდად ამოკეტა მასპინძელთა მთავარი დამრტყმელი დუეტი მარიან გაბორიკისა და პავოლ დემიტრას შემადგენლობით, რის გამოც კალიფორნიელებმა უკვე მესამედ იმარჯვეს. 0:3 კი თავიანთ სასარგებლოდ ნჰლ-ის ისტორიაში მხოლოდ ორჯერ შემოუტრიალებიათ — „მინესოტას" შანსებზე ახლა თავად იმსჯელეთ.

მალევე დაიბრუნა მოედნის უპირატესობა „ოტავამ". გუშინწინ განცდილი მარცხის შემდეგ „სენატორებმა" სწორი დასკვნები გააკეთეს და „პიტსბურგის" ლიდერებს საკმაოდ კარგად გაუმკლავდნენ. სიდნი კროსბი თავის საქმეს ხუთიანზე კი აკეთებს და აგერ უკვე მესამე გოლიც გაიტანა მესამე საპლეიოფო ჯახში, მაგრამ კანადელები ჯერჯერობით კარგად ანეიტრალებენ ევგენი მალკინს, ჯორდან სტაალსა და მარკ რეკის — სათასო ჯახებში კი ერთი კაცი, თუნდაც ეს კროსბი იყოს, სერიას კი არა, მატჩსაც ვერ მოიგებს.

„დალასი" კი დროა, მიხვდეს, რომ მოგება თუ უნდა, საქმე ოვერტაიმამდე უნდა მოაგვაროს. „ვარსკვლავებმა" 2001 წლიდან, ანუ როცა ბოლოს ითამაშეს სტენლის თასის ფინალში, 10 ოვერტაიმიდან მხოლოდ ერთხელ იხეირეს. გუშინ ტეხასელებმა „ვანკუვერთან" კიდევ ერთხელ მიიყვანეს საქმე დამატებით დრომდე, სადაც იღბლიანი ისევ „კენექსი" გამოდგა. ოღონდ საამისოდ 4 ოვერტაიმის თამაში აღარ გახდა საჭირო და კანადელებმა პირველივეში შეძლეს გამარჯვების გოლის გატანა. გმირად კი ტეილორ პაიატი იქცა.

**კახა ლომაძემილი**

# ბიჭი პოდიუმზე

## ტაიგერ ვუდსის ბორბლებიანი ფორმულა




**წლევანდელი** საპირველფორმულო ჩემპიონატის მესამე, ბაჰრეინულ ეტაპზე „ფერარის“ ბრაზილიელმა პილოტმა ფელიპე მასამ ჰეთ თრიკით (კვალიფიკაციისა და რბოლის მოგება, უსწრაფესი წრე) ჩინებული გამარჯვება კი მოიპოვა, მაგრამ გუშინწინდელ რბოლას მეორე გმირიც ჰყავს.

ეს გახლავთ 22 წლის ინგლისელი დებიუტანტი ლუის კარლ ჰემილტონი, ფორმულა 1-ის ისტორიაში პირველი შავკანიანი პილოტი, რომელიც ახალბედასთვის გასაკვირ ოსტატობას, აუღელვებლობას და მყარ ფსიქიკას ავლენს. კვირას მანამაშიც, მან მორიგი უნაკლო რბოლით ისევ გააოცა ყველა — თავისი „მაკლარენით“ როგორც დაიწყო მეორე პოზიციიდან, ფინიშთანაც მეორე მიიჭრა და მხოლოდ ორნახევარი წამით ჩამორჩა მასას. „სამეფო რბოლების“ ერთ-ერთმა ყველაზე ახალგაზრდა მძღოლმა არათუ წარმატებით დაიცვა თავისი პოზიცია მთელ საათნახევრიან, პრაქტიკულად უშეცდომო ჯირითისას, რამდენჯერმე გასასწრებადაც კი შეუტია ფელიპეს.

ერთი სიტყვით, ჰემილტონმა სამივე სასტარტო ეტაპი პოდიუმზე დაასრულა, რაც სწორედ რომ საგინესო მიღწევაა, რადგან მსგავსი ამბავი „სამეფო რბოლების“ 58-წლიან ისტორიაში არასოდეს მომხდარა.

ისიც დაუჯერებელი ამბავია, რომ სატურნირო ცხრილში ახალბედა 22 ქულით პირველ-მესამე ადგილებს იყოფს ორგზის ჩემპიონ თანამაკელ ფერნანდო ალონსოსთან და ორგზის ვიცე-ჩემპიონ ფერარელ კიმი რაიკონენთან ერთად.

ასე რომ, „სამეფო რბოლებს“ ახალი სუპერვარსკვლავი მოევლინა, რომელსაც სპეციალისტების აზრით, უკვე პირველივე სეზონში შესწევს ძალა, უმთავრეს კონკურენტებს საგვირგვინოდ შეებრძოლოს. ჟურნალისტებმა მუქკანიან ბრიტანელს „ტაიგერ ვუდსი ბორბლებზე“ შეარქვეს და მას უკვე ლეგენდადქცეულ მეგოლფეს ადარებენ:

„მსგავს რამეებს დიდ ყურადღებას არ ვაქცევ. მე ტაიგერ ვუდსი კი არა, ლუის ჰემილტონი ვარ — სრულიად სხვა ადამიანი, თუმცა, რა თქმა უნდა, მას ჩინებულ სპორტსმენად ვთვლი და ასეთ დიად ადამიანთან შედარება ჩემთვის სასიამოვნოა. მაგრამ მე აქ ვარ, ფორმულა 1-ში და უბრალოდ, ჩემს საქმეს ვაკეთებ. იმედი მაქვს, შევძლებ, ფორმულაში ისეთივე კვალი დავტოვო, როგორც ვუდსმა გოლფში“.

ბაჰრეინში რბოლის შემდეგ ბრიტანული გაზეთების სათაურები მოსალოდნელი იყო.

„მირორი“: „სამამდე დათვლის შემდეგ გუშინდელი დებიუტანტი ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი გახდა“.

BBC: „ბრიტანელი ახალბედა ფორმულა 1-ის რეკორდებს ამხობს. ასეთი დებიუტი ისტორიაში ჯერ არ ყოფილა, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია“.

„ტაიმსი“: 22 წლის მრბოლი ჰერტფორდშირიდან — ფორმულა 1-ში საუკეთესო ბრიტანული იმედია დეიმონ ჰილის შემდეგ. კიდევ გვეჭვება, ვინ გახდება წლეულს დიდი ბრიტანეთის საუკეთესო სპორტსმენი?“

ბერნი ეკლსტოუნი, FIA-ს ვიცე-პრეზიდენტი: „იმედი მაქვს, ჰემილტონი ფორმულა 1-ის ახალი სუპერვასრკვლავი გახდება. მას საამისოდ ყველაფერი აქვს და ეჭვგარეშეა, უკვე ბევრად უკეთესად გამოდის, ვიდრე ვინმე მოელოდა. ის ძალიან უხდება ფორმულას. არ ღირს მისი კანის ფერზე ყურადღების გამახვილება, ეს უაზრობაა. ლუისი შეუდარებელია, თანაც ახალგაზრდაა, სიმპათიური და უადვილდება ადამიანებთან ურთიერთობა — ყველაფერი ეს ჩვენი ბიზნესისთვის საუკეთესო კომბინაციაა“.

მარტინ უიტმარში, „მაკლარენის“ მმართველი დირექტორი: „ამ რბოლის შემდეგ სიხარულით შემიძლია აღვნიშნო — ჩვენი ორივე პილოტი ამ სეზონში ტიტულისთვის იბრძოლებს. პირველი ეტაპების შემდეგ ლუისს სწრაფ მრბოლად თვლიდნენ, მესამე პოდიუმმა კი სიცხადე შეიტანა, რომ ისიც ჩემპიონობის სერიოზული პრეტენდენტია. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რათა ალონსო და ჰემილტონი ღირსეული მანქანებით უზრუნველვყოთ, საამისოდ რბოლიდან რბოლამდე ბოლიდები უნდა სრულვყოთ“.

რბოლის შემდეგ ჟურნალისტებმა ჰემილტონს ჰკითხეს, აქვს თუ არა ისეთივე საჩემპიონო შანსი, როგორც ალონსოს:

„რა თქმა უნდა, რატომაც არა? მე ისეთივე მანქანა მაქვს, როგორიც ფერნანდოს, მას არაფრით არ ჩამოვრჩები და თუ ასევე გავაგრძელებ, გამარჯვებაც მოვა. დღევანდელი შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ. სამ რბოლაში სამჯერვე პოდიუმზე ფინიში — ფანტასტიკაა. ჩვენი ბოლიდი აშკარად გაუმჯობესდა — დღეს პირველ და მესამე მონაკვეთებზე მასას „ფერარის“ არ ჩამოვრჩებოდი და რბოლაში ცოტა მეტი წრე რომ ყოფილიყო, მის გასწრებასაც შევძლებდი. დარწმუნებული ვარ, ესპანეთის ეტაპამდე ოთხ კვირაში მანქანა უკეთესი გახდება“.

**გია ახალაძე**


AFP



## მორტლოკი იტესტება



**ორკვირიანი** ტრავმიანობის შემდეგ ავსტრალიის ნაკრების უნივერსალმა მოიერიშემ სტირლინგ მორტლოკმა ვარჯიში დაიწყო. მორტლოკი ზე-14-ის მატჩისას დაშავდა, როდესაც მეტოქესთან შეტაკებისას იდაყვის ტრავმა მიიღო.

29 წლის მოიერიშეს ავსტრალიის ნაკრებში 53-ჯერ უთამაშია და მისი არყოფნა საგაზაფხულო ტესტებისას დიდი დანაკლისი იქნებოდა. მორტლოკი ამ უქმეებზევე შეეშველება თავის კლუბ „ბრამბიზს“, ორ კვირაში კი სანაკრებო შეკრებაზეც წავა.

## წასვლა, არწასვლა...

**ინგლისური** „ნორთჰემპტონის“ მორკინალი და 2003 წლის მსოფლიოს თასის მომგები სტივ ტომპსონი რაგბიდან წასვლას აპირებს. ინგლისელთა საკვანძო მოთამაშე ერთი თვის წინ პრემიერლიგის მატჩისას პირდაპირ მოედნიდან გააქანეს ჰოსპიტალში. ზედახორაში ტომპსონი მეტოქეების წიხლებქვეშ მოხვდა და ხერხემლის მალა უსერიოზულესად დაუზიანდა. „სამიდან ორმა ტრავმატოლოგმა კატეგორიულად ამიკრძალა ვარჯიშიც კი, მათ ისიც გაუკვირდათ, საერთოდ სიარულსაც რომ ვახერხებ, ჯერ არ ვიცი, რას ვიზამ. მინიმუმ ახალ წლამდე უმკაცრეს რეჟიმში უნდა ვიყო, მერე კი თავს დავაკვირდები და გადავწყვეტ, რა გავაკეთო სამომავლოდ“ — განაცხადა 28 წლის ნორთჰემპტონელმა ტომპსონმა, ვისაც ინგლისის ნაკრებში 47-ჯერ უთამაშია.

„ტომპსონი ჯერ კიდევ ექვსი წლის წინ გავიცანი, როდესაც ინგლისი სამხრეთამერიკულ ტურნირზე იყო. მაშინ მასზე ვთქვი, რომ რკინის ძვლები აქვს და ნამდვილი ლომია. მჯერა სტივი არ გატყდება და ერთი წლის მერე რაგბის დაუბრუნდება“ — ეს უკვე ინგლისის ნაკრების მწვრთნელის ბრაიან ეშტონის სიტყვებია.

## მთავარი მამალი დაბრუნდა



**საფრანგეთის** ნაკრების კაპიტანმა ფაბიენ პელუმ როგორც იქნა, კისრის ტრავმა მოირჩინა და მოედანს დაუბრუნდა. „მამლების“ ყოჩმა ტრავმა შარშან დეკემბერში მიიღო და აქამდე უქმობდა. ამის გამო პელუს წლევანდელი ექვსი ერიც გაუცდა. კაპიტნის დაბრუნებით ძალიან გაიხარა ფრანგთა მწვრთნელმა ბერნარ ლაპორტმა. მისი თქმით, თუ იქამდე პელუს სერიოზული არაფერი დაემართა, შემოდგომაზე გასამართ მსოფლიოს თასზე აუცილებლად წაიყვანს. ფაბიენ პელუს ნაკრებში 111-ჯერ უთამაშია და ამ მხრივ ფილიპ სელასთან ერთად ეროვნული რეკორდის თანამფლობელია. სელა კარგა ხანია, აღარ თამაშობს და პელუ რეკორდს, ალბათ ზაფხულამდე ერთპიროვნულად დაისაკუთრებს.

## ცუდი ფლუდი

**ინგლისელთა** მთავარი მოიერიშეები ჯონი უილკინსონი და მაიკ ტინდალი მაგრად დაითარსნენ. ჯერ იყო და, წლევანდელი ექვსი ერის პირველივე ტურში დაშავდნენ და ტურნირი გაუცდათ, ახლა კი ახალმოშჯობინებულები კვლავ ლაზარეთში ჩაეწერნენ. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ორივე ნიუკასლელი „გლოსტერის“ მეათე ნომერმა ტობი ფლუდმა დააშავა. თანაც, ორივეს ტრავმა საკმაოდ სერიოზულია და როდის გამოჯანმრთელდებიან „ვარდების“ ლიდერები, ძნელი სათქმელია.

## 19-წლამდელთა მსოფლიოს თასი

ბელფასტი. ნახევარფინალი

საქართველო 3:19 კანადა

## ფეხბურთი

### იტალია

სერია C1/B. XXX ტური

სამბენედეტეზე 3:1 იუვე სტაბია

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა

XXIX ტური

კარლ ცაისი 2:1 აუე

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XXXII ტური

ბრესტი 2:0 ლე ავრი

### ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა

XXII ტური

ბრნო 2:1 სიგმა

### შვედეთი

ალსვენსკა. II ტური

იურგორდენი 2:0 ჰალმსტადი

ჰელსინგბორგი 3:1 გეფლე

მალმიო 1:0 გაის

სუპერეტა. I ტური

ლანდსკრონა 1:1 ენჩიოპინგი

ნორჩიოპინგი 1:0 ატვიდაბერგი

სუნდსვალი 0:0 მიალბი

### პორტუგალია

სუპერლიგა. XXV ტური

ბენფიკა 0:0 ბრაგა

### ნორვეგია

ტიპელიგა. II ტური

ბრანი 3:1 სტრიომსგოდსეტი

# ბასკური კობო



„სონი დიუვალის" ესპანელი მრბოლის ხუან ხოსე კობოს გამარჯვებით დასრულდა „პრო-ტურის" სერიაში შემავალი ექვსეტაპა რბოლა, რითით 47-ე „ბასკების ქვეყნის ვუელტა".

ბასკეთში წელს ძალზე ბევრი ცნობილი ველოსიპედისტი ჩავიდა, ისეთები, თვით „ტურ დე ფრანსსა" და „ჯირო დიტალიაზეც" ფავორიტებად რომ ჩაითვლებიან — ალეხანდრო ვალვერდე, დამიანო კუნეგო, ფრანკ შლეკი, ხოსე ანხელ გომეს მარჩანტო, დავიდე რებელინი... სწორედ ამიტომ, კობოს გამარჯვებას მეტი ფასი აქვს. მან პირველივე ეტაპზე მიაღწია წარმატებას და, მართალია, მერე ლიდერის ოქროსფერი მაისურა დროებით დათმო, მეოთხე სამთო ეტაპზე გამარჯვებით პირველობა დაიბრუნა და ბოლომდე შეინარჩუნა კიდეც.

ბოლო ეტაპი 14 კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლა იყო ოიარტუნის ქუჩებში და კობომ აქაც ივარგა — დისტანცია 21 წუთსა და 40 წამში დაფარა, რაც მესამე შედეგი აღმოჩნდა — ხუან ხოსეს მხოლოდ სხვა ესპანელებმა, სამუელ სანჩესმა და ალბერტო კონტადორმა აჯობეს, პირველმა ოთხი, ხოლო მეორემ ორი წამით.

გენერალურ კლასიფიკაციაში კობომ 37 წამით ჩამოიტოვა აგრეთვე ესპანელი, „რელაქსის" მრბოლი ანხელ ვიკიოსო. მესამე ადგილზე კი, გამარჯვებულთან წუთისა და 16 წამის ჩამორჩენით ბასკური „ეუსკალტელის" წევრი სანჩესი გავიდა. ამათ უკან, უკვე სახელიანი მრბოლები — კუნეგო, ვალვერდე, რებელინი განლაგდნენ, რომლებისთვისაც ბასკური „ვეულტა" სეზონის მთავარი რბოლებისთვის მოსამზადებელ ეტაპს წარმოადგენდა.

# როდრიგესმა სუბორდინაცია დაარღვია

ბასკური რბოლის დასრულებისთანავე ესპანეთში ლეგენდარული იტალიური „მილანი-სან რემოს" დარად „კლასიკა პრიმავერად" წოდებული ერთდღიანი, 171-კილომეტრიანი რბოლა ჩატარდა, რომელიც „კაისე დეპარგნეს" ესპანელი მრბოლის ხოაკინ როდრიგესის გამარჯვებით დასრულდა.



როდრიგესმა და მისმა სახელიანმა თანაგუნდელმა ალეხანდრო ვალვერდემ ბოლო აღმართში შეუტიეს და პელოტონთან რვაწამიანი უპირატესობა მოიპოვეს. ორთა ფინიშისას კი უფრო სწრაფი როდრიგესი აღმოჩნდა, რომელმაც სულ მცირედით აჯობა თავისი გუნდის ლიდერს, „პრო-ტურის" სერიის შარშანდელ გამარჯვებულსა და შარშანდელივე „ვეულტა ესპანას" ვიცე-ჩემპიონ ვალვერდეს.

მესამე ადგილზე „ლამპრეს" იტალიელი მატეო ბონო გავიდა, რომელმაც მოწინავეთა თანაგუნდელი დავიდ ლოპეს გარსია დაჯაბნა და „კაისე დეპარგნეს" წევრებს პოდიუმის სრულად დაუფლების საშუალება არ მისცა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კლოდენმა ლე მანი დალაშქრა

საფრანგეთში, ლე მანის შემოგარენში, ანუ იქ, სადაც ლეგენდარული 24-საათიანი ავტორბოლა ტარდება ხოლმე, რიგით 55-ე ხუთეტაპა ველოშეჯიბრი, სახელად Circut de la Sarthe დასრულდა და პირველი ადგილი „ტურ დე ფრანსის" სამგზის პრიზიორმა, გერმანელმა ანდრეას კლოდენმა დაიკავა, ვინც ამ სეზონში ყაზახური „ასტანას" სახელით დააჯირითებს თავის ველორაშს.

ხუთი ეტაპიდან კლოდენმა მხოლოდ ერთი, მესამე მოიგო — ცხრაკილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლა, მაგრამ დანარჩენ ეტაპებზე სულ მოწინავეთა შორის იყო და საბოლოო ჯამში გენერალურ კლასიფიკაციაშიც იპირველა. საერთო ჩათვლაში გერმანელმა მცირედით სულ ოთხი წამით აჯობა მეორე ადგილზე გასულ ფრანგს, „ფრანსაიზ დე ჟუს" მრბოლ ბენუა ვოგონდის, ხოლო მესამე ადგილი გამარჯვებულთან ათწამიანი ჩამორჩენით „კერამიკა-ფლამინას" უკრაინელმა მრბოლმა ვლადიმირ დუმამ ირგუნა.

# ოგრეიდის რუბემ არგო

„ბასკების ქვეყნის ვუელტასა" და უპრესტიჟულესი ერთდღიანი კლასიკური რბოლის, „პარიზი-რუბეს" შედეგების მიხედვით გამოქვეყნდა „პრო-ტურის" სერიის ახალი კლასიფიკაციები. მრბოლთა რეიტინგს „პარიზი-რუბეს" მომგები ავსტრალიელი სტიუარტ ოგრეიდი უდგას სათავეში, ვინც ორი ქულით უსწრებს ჰოლანდიური „რაბობანკის" ესპანელ მრბოლს, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ ოსკარ ფრეირეს.

მრბოლები: 1. სტიუარტ ოგრეიდი (ავსტრალია, CSC) 79 ქულა; 2. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, „რაბობანკი") 77; 3. დავიდე რებელინი (იტალია, „გეროლშტაინერი") 62; 4. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „დისქოვერი-ჩენელი") 58; 5-6. ხუან ხოსე კობო (ესპანეთი, „სონი დიუვალი") და ტომ ბოონენი (ბელგია, „ქვიკ სტეპი") 57-57; 7. ანდრეას კლოდენი (გერმანია, „ასტანა") 53; 8. ალესანდრო ბალანი (იტალია, „ლამპრე") 50; 9-11. როჯერ ჰემონდი (ბრიტანეთი, „T-მობილი"), სამუელ სანჩესი (ესპანეთი, „ეუსკალტელი") და ტადეჟ ვალჟავეცი (სლოვენია, „ლამპრე") 45-45.

გუნდები: 1. დისქავერ-ჩენელი (აშშ) 71 ქულა; 2. CSC (დანია) 66; 3. ლიქუიგასი (იტალია) 61; 4. კაისე დეპარგნე (ესპანეთი) 53; 5-7. ლამპრე (იტალია), პრედიქტორ-ლოტო (ბელგია) და ასტანა (ყაზახეთი) 45-45; 8. T-მობილი (გერმანია) 36; 9-10. AG2R (საფრანგეთი და მილრამი (იტალია-გერმანია) 42-42.



# შრიალ-შრიალში შრი ლანკა ნახევარფინალში გაქვრა

კარიბეთში მიმდინარე კრიკეტის მსოფლიო ჩემპიონატზე აქ სუპერრვის შეხვედრები დასასრულს უახლოვდება და კვირის ბოლოსთვის ოთხივე ნახევარფინალისტის ვინაობა გაირკვევა.

დღეისთვის სამი ნახევარფინალისტი უკვე ცნობილია. აქედან ორი სამხრეთული ნაკრებებია — ავსტრალია და ახალი ზელანდია. ოღონდ დაუმარცხებლის სტატუსს ამ ორიდან მხოლოდ ოზებილა ფლობენ, რომლებიც მიყოლებით ანადგურებენ ყველას, ვინც წინ გადაელობებათ. ამ დღეებში მწვანე კონტინენტის წარმომადგენლებს აუტსაიდერი ირლანდია შემოელახათ.

ზელანდიელებმა დამარცხების სიმწარე შრი ლანკასთან იგემეს, რომელიც უდავოდ ჩემპიონატის მთავარი აღმოჩენაა. სწორედ აზიელები არიან იმ სამ ნაკრებს შორის, რომელთაც ჩემპიონობისთვის ბრძოლის საშუალება მიეცემათ — ისინი მესამე ადგილზე მყარად დგანან და უკვე შეუძლიათ, ნახევარფინალისთვის მზადება დაიწყონ.

მაორებმა კი შრი ლანკასთან მარცხისთვის სამხრეთაფრიკელებზე იყარეს ჯავრი და ნახევარფინალის საგზურიც აქ გაინაღდეს. ზელანდიელებს უკვე 5 მოგება დაუგროვდათ და ოზებთან ურთიერთშეხვედრისას ჩემპიონატის ფავორიტებს სუპერრვაში პირველი ადგილის დაკავებისთვის კიდევ შეებრძოლებიან.

აი, სამხრეთაფრიკელებს კი ზელანდიასთან მარცხმა დიდი პრობლემები შეუქმნა, რადგანაც მათ კუდში მისდევენ ინგლისელები. აფრიკელებს დღესდღეობით სამ-სამი გამარჯვება და წაგება დაუგროვდათ და „ვარდებს" მხოლოდ ერთი მოგებით უსწრებენ, ოღონდ ინგლისელებს ერთი მატჩით ნაკლები აქვთ ჩატარებული. მეოთხე და ნახევრაფინალის ბოლო საგზურისთვის სწორედ ეს ორი ნაკრები იბრძოლებს და ამ ჯახში გადამწყვეტი ხვალინდელი დღე იქნება, როცა ისინი ერთმანეთს ბარბადოსზე დაეტაკებიან.

მეოთხე ადგილზე გასვლის შანსებს გუშინდლამდე ბანგლადეშიც ინარჩუნებდა, მაგრამ აქამდე ყველა მატჩის წამგებმა ირლანდიელებმა თავი გამოიდეს და სუპერრვაში პირველი თამაში მოიგეს, რითაც აზიელებს საუკეთესო ოთხეულში მოხვედრის ყველა შანსი მოუსპეს.

კახა ლომაშვილი



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლალი ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge